პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში თემაზე:

„მოტივაციასთან არსებული პრობლემები ქართულის,როგორც მეორე(სახელმწიფო) ენის სწავლა/სწავლების პროცესში (IXკლასში) და მათი გადაჭრის გზების ძიება“

ავტორი : თეონა ცაგარეიშვილი

სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის

სოფელ შაუმიანის N2 საჯარო სკოლის

ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ მასწავლებელი

2019 წელი

მადლობა

აღნიშნული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ჩატარების პროცესში გაწეული დახმარებისთვისა და კონსულტირებისთვის, მსურს, მადლობა გადავუხადო სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანის N2 საჯარო სკოლის უცხოური ენების კათედრას, შეფასების ჯგუფის წევრებსა და სკოლის ადმინისტრაციას. ასევე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობას ინტერვენციების განხორციელებაში გაწეული დახმარებისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი შაუმიანის N2 საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს, რომლებმაც თავიანთი აქტიურობითა და მაქსიმალური ჩართულობით ხელი შეუწყვეს კვლევის წარმატებით განხორციელებას.

განაცხადი

წინამდებარე პედაგოგიური კვლევა წარმოადგენს ჩემ მიერ შექმნილ ნაშრომს, რომელიც საკუთარი პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე შევქმენი ეტაპობრივად. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ კვლევა წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნაშრომს, მასში არ არის მოცემული ისეთი მასალები, რომლებიც უკვე გამოქვეყნებული და გამოყენებულია სხვა ავტორების მიერ. წინამდებარე კვლევაში გამოყენებულია სხვა ნაშრომებიდან ციტირებული მასალები, რომლის ბოლოში მითითებულია ავტორი და გამოქვეყნების დრო. მასალა გამოყენებულია სათანადო წესების დაცვის შესაბამისად.

თეონა ცაგარეიშვილი

19/06/2019 წელი

აბსტრაქტი

„სწავლება ბევრს ნიშნავს, წახალისება კი - ყველაფერს“

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩემი პედაგოგიური კვლევის ანგარიშს, რომელიც იკვლევს მოტივაციასთან არსებულ პრობლემებს ქართულის, როგორც მეორე(სახელმწიფო) ენის სწავლების პროცესში და ემსახურება ამ პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.

კვლევის პროცესი წარიმართა 2018-2019 სასწავლო წლის II სემესტრის განმავლობაში. კვლევაზე მუშაობის პროცესი გავყავი ორ მნიშვნელოვან ეტაპად. პირველ რიგში, გამოვავლინე საკვლევი საკითხი, რაც უშაუალოდ უკავშირდებოდა მოსწავლეთა მოტივაციას ქართულის, როგორც მეორე(სახელმწიფო) ენის სწავლა/სწავლებას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. საკვლევი საკითხი გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც უცხოური ენების კათედრის ერთ-ერთ სამუშაო შეხვედრაზე წამოიჭრა მოსწავლეებში სწავლისადმი დაბალი მოტივაციის პრობლემა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა სასწავლო პროცესს. ამ მხრივ არც ჩემი IX კლასი წარმოადგენდა გამონაკლისს, რადგანაც მოტივაციის თვალსაზრისით მათთანაც შეინიშნებოდა პრობლემები, გადავწყვიტე, ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ამ მიმართულებით წარმემართა. მონაცემთა შეგროვებასა და ძირითადი პრობლემის იდენტიფიცირების პროცესში გამოვიყენე როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევის მეთოდები: ანკეტირება, დიალოგი, ფოკუსჯგუფი. იმისათვის ,რომ უფრო გამჭვირვალე ყოფილიყო კვლევის პროცესი და მეც ნათლად დამენახა საკუთარი მიღწევები, გადავწყვიტე, კვლევის მიმდინარეობა ამესახა კვლევის დღიურში. პირველ ეტაპზე ჩავატარე ფოკუსჯგუფი კოლეგებთან და ანკეტირება მოსწავლეებთან, რამაც გამოავლინა მოსწავლეებთან ფოკუს-ჯგუფისა და მშობლებთან დიალოგის საჭიროება. რათა შედეგი უფრო თვალსაჩინო, ობიექტური და სანდო ყოფილიყო. შემდეგ ეტაპზე შევიმუშავე კვლევის ამოცანები, დავსახე ინტერვენციები და განვახორციელე ისინი. ინტერვენციების მიმდინარეობისას ვაკვირდებოდი, უმჯობესდებოდა თუ არა მოსწავლეთა მოტივაციის ხარისხი, რასაც დღიურშიც აღვნიშნავდი.ინტერვენციების შედეგების ანალიზისთვის განვახორციელე განმეორებითი ანკეტირება. რომელმაც დაადასტურა, რომ ჩემ მიერ შემუშავებული აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდას. სასწავლო პროცესს კი უფრო ეფექტურს და ხარისხიანს გახდის.

საკვანძო სიტყვები : მაღალი/დაბალი მოტივაცია, შინაგანი და გარეგანი მოტივაცია, სწავლა/სწავლება, მეორე,სახელმწიფო ენა, მოტივაციის ამაღლება.

სარჩევი

შესავალი 6

საკვლევი საკითხის აქტუალობა 8

თავი I საკვლევი საკითხის მიმოხილვა, მიზნები და ამოცანები

1.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ.....9
1.2 საკვლევი საკითხი 9
1.3 მოსალოდნელი შედეგები.....10
1.4 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები.....10
1.5 კვლევის მიზანი 11
1.6 კვლევის ამოცანები.....11
ძირითადი საკვლევი კითხვები/ქვეკითხვები 12

თავი II ლიტერატურის მიმოხილვა

2.1 მოტივაციის რაობა და თეორიები 12
2.2 შინაგანი და გარეგანი მოტივაცია 15
2.3 მოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორები.....16
2.4 მოტივაციის როლი მეორე ენის შესწავლის პროცესში.....20

თავი III კვლევის დიზაინი

3.1 კვლევის სამიზნე ჯგუფი.....22
3.2 კვლევის ინსტრუმენტები 22
3.3 კვლევის გეგმა და ვადები 23

თავი IV კვლევის შედეგები

4.1 მონაცემთა ანალიზი 25
4.2 კვლევის მიგნებები.....30
4.3 კვლევის ნაკლოვანებები 30

თავი V ინტერვენციები

5.1 ქმედებების/ინტერვენციების დაგეგმვა 31
5.2 ქმედებების/ინტერვენციების განხორციელება 31
5.3 ინტერვენციების შედეგების ანალიზი 36

დასკვნა 38

რეკომენდაცია 40

რეფლექსი **41**

ბიბლიოგრაფია/გამოყენებული ლიტერატურა **44**

დანართები 46

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანის N2 საჯარო სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ მასწავლებლის თეონა ცაგარეიშვილის მიერ განხორციელებული კვლევის ანგარიშს.

სოფელ შაუმიანის N2 საჯარო სკოლის რუსული სექტორის ქართულის, როგორც მეორე ენის კონსულტანტ მასწავლებლად ვმუშაობ 2015 წლიდან. ქართულ ენას ვასწავლი დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე. ჩემი მოსწავლეები არიან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები(ეროვნებით სომეხი). რადგანაც ქართული მათთვის არ არის მშობლიური ენა, მისი მაღალ დონეზე შესწავლა საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს სწავლების ყველა საფეხურზე. მთავარ დაბრკოლება კი ენის შესწავლის პროცესში მოსწავლეთა დაბალი მოტივაციაა.

„ფლობდეთ მეორე ენას, ნიშნავს, ფლობდეთ მეორე სულს“ კარლოს დიდის ამ სიტყვებს თუ ჩავუღრმავდებით, მივხვდებით, რომ ენის შესწავლა არა მარტო ადამიანის მეტყველებას, არამედ მის სულსაც ამდიდრებს. მეორე ენის , ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი - სახელმწიფო ენის, შესწავლა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობისთვის. „სახელმწიფო ენა ქვეყნის სუვერენიტეტის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. სახელმწიფო ენის სტატუსის განსაზღვრა, მისი უფლებების დაცვა და გავრცელების ფორმებზე ზრუნვა სახელმწიფო სიმტკიცის ნიშნად აღიქმება. ენობრივი პრობლემა ყველაზე თვალშისაცემი და აშკარა ნიშანია სამოქალაქო ინტეგრაციის დეფიციტისა. იმისათვის, რომ არსებობდეს მოქალაქეთა ერთობა, სულ მცირე, ადამიანებს ერთმანეთთან კომუნიკაციის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ. ენის უცოდინარობა კი სწორედ ყველაზე ელემენტარულს - კომუნიკაციას აძნელებს, რაც ხშირად იწვევს გაუგებრობას, „უნდობლობას“ და კონფლიქტებს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის.“[8] ადამიანი, რომელიც ვერ ფლობს იმ სახელმწიფოს მთავარ იარაღს, ენას, რომელშიც ის ცხოვრობს, დაკარგული აქვს მოტივაცია, არის კარჩაკეტილი, უჭირს ინტეგრირება გარემოსთან და არ არის იმ სოციუმის სრულყოფილი წევრი. ამ პრობლემასთან ბრძოლაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს სკოლა და მასწავლებელი, რომელიც იმ გარემოში ენის შესწავლის ერთადერთი საშუალებაა. სკოლამ, სახელმწიფომ, მასწავლეელმა და მშობელმა უნდა მისცეს ბავშვს სწავლის მოტივაცია, დადაეხმაროს მას ქვეყნის სრულფასოვან მოქალაქედ ჩამოყალიბებაში.

მოტივაცია ეფექტური სასწავლო გარემოს ამომავალი წერტილია. ადამიანის მიერ შესრულებულ ნებისმიერ ქმედებას გარკვეული მოტივაცია უდევს საფუძვლად. განსაკუთრებული როლი კი მას სწავლა/სწავლების პროცესში ენიჭება. ის განაპირობებს სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვას. სკოლა ცოცხალ ორგანიზმს ჰგავს. მისი, როგორც ცოცხალი ორგანიზმის წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია

მნიშვნელოვანი რგოლების : მოსწავლისა და მასწავლებელის შეთანხმებული მუშაობა. ამისათვის კი ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა აღნიშნული რგოლების მაღალი მოტივაცია, რისი პრობლემაც დღევანდელ განათლების სფერო ნამდვილად შეინიშნება. სკოლის, მასწავლებლის და ოჯახის მიერ წახალისებული, მოტივირებული მოსწავლე სწავლის პროცესში წარმოქმნილ ნებისმიერ სირთულეს წარმატებით უმკლავდება, მოტივაციის უქონლობას კი მუდმივი წარუმატებლობა მოსდევს თან, წარუმატებლობა კი, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდის ფსიქოლოგიურ განვითარებაზე. სასკოლო ცხოვრებაში მსგავს შემთხვევებს თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზე შევხვდებით. არც ჩემი სკოლა წარმოადგენს ამ მხრივ გამონაკლისს. თითქმის ყველა კლასში არის მოსწავლე, რომლსაც შესაშურად მაღალი მოტივაცია აქვს, რაც მის აკადემიური მოსწრების ხარისხზე დადებითად აისახება , თუმცა მრავლად გვაქვს საპირისპირო შემთხვევებიც.

მოტივაციის, როგორც სწავლა/სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილის სიღმისეულად შესასწავლად, გადავწყვიტე, ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ამ მიმართულებით განმეხორციელებინა. საკვლევ საკითხად შევარჩიე მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემების დადგენა ქართულის, როგორც მეორე(სახელმწიფო) ენის სწავლა/სწავლების პროცესში, კვლევის სამიზნე ჯგუფად კი - IX კლასი, 8 მოსწავლე(სსსმ მოსწავლე კლასში არ არის).

კვლევის დღიურის წარმოების პარარელურად, პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ შევარჩიე კვლევის მეთოდები. თვისობრივი მეთოდებიდან გამოვიყენე ფოკუსჯგუფი მოსწავლეებთან და კოლეგებთან, დიალოგი - მშობლებთან. ხოლო რაოდენობრივი მეთოდებიდან - ანკეტირება მოსწავლეებთან. სხვადასხვა გზით მიღებული შედეგები გამოვიყენე კვლევის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების დასაგეგმად. კვლევის პროცესში მიზნად დავისახე იმ ფაქტორების გამოვლენა, რომელიც ზრდის მოსწავლეებში მოტივაციას. ასევე, მსურდა დამედგინა, რა როლი ენიჭებოდა ამ პროცესში მასწავლებელს, სკოლას, ოჯახსა და სახელმწიფოს.

კვლევის განხორციელება დავიწყე 2019 წლის იანვარში და დავასრულე 2019 წლის ივნისში. ნაშრომი შედგება 5 თავის, 19 ქვეთავის, დასკვნის, რეკომენდაციების, რეფლექსიისა და დანართებისაგან.

საკვლევი საკითხის აქტუალურობა

სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ სრულფასოვან მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნული სასწავლო გეგმა არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის ითვალისწინებს სახელმწიფო ენის სწავლებას. სახელმწიფო ენის სწავლების მთავარი ამოცანაა მოსწავლის მოტივაციის გაძლიერება და ქართული ენის სწავლის მიმართ ინტერესის სტიმულირება, მოსწავლეში მოქალაქეობრივი შეგნებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება [2]

მოსწავლეს, რა სფეროც არ უნდა აირჩიოს მან პროფესიული საქმიანობისათვის, ქართული ენა დასჭირდება როგორც ინსტრუმენტი ცოდნისა და გამოცდილების გასამდიდრებლად. ამიტომაც, სკოლის და მასწავლელის მთავარი ამოცანაა მოსწავლის მომზადება ამა თუ იმ სფეროში სწავლის ან მუშაობის გასაგრძელებლად. ამდენად, მნიშვნელოვანია, არაქართულენოვან მოსწავლეთა ენის ფლობის დონე მიუახლოვდეს მშობლიური ენის ფლობის დონეს, რათა მათ დაუბრკოლებლად შეძლონ საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ჩართვა.

2011 წლიდან ვმუშაობ ეთნიკურ უმცირესობებთან ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. ამ რვა წლის განმავლობაში უამრავ მოსწავლესთან მქონია შეხება, ბევრისთვის მისწავლებია და შემიყვარებია სახელმწიფო ენა. გამოცდილებამ მაჩვენა, რომ ამ პროცესში გადამწყვეტი როლი მოსწავლეების მოტივირებას ენიჭება. მოსწავლე მოტივირებულია და აქვს სრული მზაობა სწავლისადმი, მაშინ, როცა გრძნობს მხარდაჭერას სკოლის, მასწავლებლისა და ოჯახის მხრიდან. სკოლა, მასწავლებელი, ოჯახი და სახელმწიფო ქმნის ერთიან ჯაჭვს მოტივაციის ამაღლების პროცესში და რომელიმე მათგანის ამოვარდნა მნიშნელოვნად აზიანებს მოსწავლის აკადემიური მოსწრების ხარისხს.

რადგანაც ვფიქრობ, რომ საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენის მაღალ დონეზე ფლობა წარმატებული მომავლის გასაღებია, ენის შესწავლას კი საფუძველად მოსწავლეთა და მშობელთა მოტივაცია უდევს, გადავწყვიტე, ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ამ მიმართულებით წარმემართა, გამომევლინა ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები, დამედგინა მოსწვლეთა მოტივაციის ხარისხი და ამ პროცესში ოჯახის როლი, განმეხორციელებინა ინტერვენციბი და შედეგი გამეზიარებინა კოლეგებისათვის, რომლებიც მსგავსი პრობლემების წინაშე დგანან.

თავი I

საკვლევი საკითხის მიმოხილვა , მიზნები და ამოცანები

1.1 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა განვახორციელე სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანის N2 საჯარო სკოლაში . სკოლის დირექტორია ქალბატონი ანაიდა რესტევანიანი. სკოლა ეთნიკურად მრავალფეროვანია, სწავლობენ ეროვნებით ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი მოსწავლეები. ამიტომაც, სკოლაში ორი სექტორია : ქართული და რუსული. ორივე სექტორზე ჯამში 121 მოსწავლე ირიცხება. მრავალფეროვანია მასწავლებელთა სპექტრიც, არის 7 უფროსი და 37 პრაქტიკოსი მასწავლებელი. სახელმწიფოს მიერ ბოლო ხანებში განხორციელებულმა რეფორმამ, მასწავლებელთა დიდი ნაწილი საგამოცდო ციებ-ცხელების ფერხულში ჩააბა. პრაქტიკოსი მასწავლებლები გადიან ტრენინგებზე, ატარებენ შიდა დაკვირვების გაკვეთილებს და აქტიურად ემზადებიან მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის.

1.2 საკვლევი საკითხი

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა განვახორციელე სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანის N2 საჯარო სკოლის IX კლასში, სადაც სიით 8 მოსწავლე ირიცხება. კლასი მრავალფეროვანია, არიან მაღალი,საშუალო და დაბალი აკადემიური შედეგების მქონე მოსწავლეები,არ არის სსსმ მოსწავლე.

უკვე მეოთხე წელია რაც ამ კლასს ვასწავლი. ყველანაირი ხერხით ვცდილობ, მოსწავლეებს გავუზარდო სწავლისადმი ინტერესი, ვცდილობ, არაფორმალური და მრავალფეროვანი აქტივობებით დავტვირთო საგაკვეთილო პროცესი, მიუხედავად ამისა,მაინც ვერ მივაღწიე იმას, რომ ყველა მოსწავლემ ერთმნაირად მაღალი ინტერესი გამოიჩინოს სწავლისადმი. მოსწავლეთა სწავლის ხარისხს მრავალი კომპონენტი განსაზღვრავს, ის ზოგჯერ წელიწადის დროზეც კი არის დამოკიდეული, მაგალითად, გაზაფხულის ბოლო თვეებიდან მოსწავლეთა სწავლისადმი დაინტერესება საგრძნობლად იკლებს, შემოდგომაზე კი - იმატებს. თუ მხოლოდ ამ მოვლენებსაც კი ასე მარტივად შეუძლია მოსწავლეებში სწავლის ხარისხის შეცვლა, ადვილი წარმოსადგენია, როგორ იმოქმედებს მათზე სხვა უფო მნიშვნელოვანი პროცესები. მოტივაციის ზრდა/კლებას უამრავი გარე თუ შიდა ფაქტორი განაპირობებს. სწორედ ამიტომ, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გადავწყვიტე , საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ამ მიმართულებით წამეყვანა და გამეგო, მოტივაციასთან დაკავშირებული რა პრობლემები არსებობს ქართულის, როგორც მეორე (სახელმწიფო) ენის შესწავლის პროცესში. მიზნად დავისახე :

- კოლეგების დახმარებით დავადგინო საკვლევი საკითხის აქტუალობა;

- მოსწავლეებთან ანკეტირებისა და ფოკუსჯგუფის შედეგად დავადგინო მათი განწყობა სასწავლო პროცესისადმი. როგორ აფასებენ ისინი მასწავლებლის მიერ განხორციელებულ აქტივობებს და რამდენად ზრდის ეს მათ მოტივაციას;
- მშობლებთა დიალოგის დახმარებით განვსაზღვრო ოჯახის დამოკიდებულება სასწავლო პროცესისადმი და მათი ჩართულობის ხარისხი.;
- დავგეგმო და განვახორციელო ინტერვენციები;

1.3 მოსალოდნელი შედეგები (მოსწავლეებისთვის, კოლეგებისათვის და ჩემთვის)

ჩემ მიერ განხორციელებული კვლევა და მის პროცესში დაგეგმილი ინტერვენციები, ვფიქრობ, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, გაზრდის მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. წააქეზებს მოსწავლეთა აქტიურობას სწავლა/სწავლების ფორმალური და არაფორმალური მიმართულებით, გაზრდის მათ ცნობიერებას და სახელმწიფო ენის ფლობის ხარისხს. კვლევის პროცესში მიღებული უნარები ხელს შეუწყობს მათ განვითარებას ცხოვრების ყველა ეტაპზე.

ვფიქრობ, რომ ჩემი კვლევა საინტერესო და სასარგებლო იქნება კოლეგებისთვისაც. ის მიგნებები და ინტერვენციები, რომლებიც ამ კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს კოლეგებს სწავლა/სწავლების პროცესის წარმართვისას, ამ მიგნებების გაზიარებით შეძლებენ თავიანთი მოსწავლეების მოტივირებას, საინტერესო და სასიამოვნო სასწავლო გარემოს შექმნას, არაფორმალური განათლების დიდი დოზით შეტანას სასწავლო პროცესში. კოლეგები შეძლებენ დაინახონ რა გავლენა აქვს მშობელს და მის ჩართულობას მოსწავლის აკადემიური მოსწრების გამჯობესებასა და მოტივაციის გაზრდაში. შედეგად კი, ვიმედოვნებ, შევძლებთ საერთო ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებას სკოლაში.

მოცემული კვლევა მნიშვნელოვან დახმარებას გამიწევს მომავალ პედაგოგიურ საქმიანობაში, შევძლებ სასწავლო პროცესი უფრო ეფექტურად წავრმართო, ისეთი აქტივობებით გავამდიდრო გაკვეთილი, რომ ხელი შევუწყო მოსწავლეებში მოტივაციის ზრდასა და პიროვნილ განვითარებას. კვლევის პროცესში აღმოჩენილი მიგნებები დამეხმარება როგორც მოსწავლეებთან, ასევე მშობლებთან ჯანსაღი ურთიერთობის წარმართვაში.

1.4 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები:

მოსწავლეთა დაბალ მოტივაციას ქართულის, როგორც მეორე (სახელმწიფო) ენის შესწავლის პროცესში შეძლება განაპირობებდეს სხვადასხა ფაქტორი :

- მშობლების დაბალი ჩართულობა სწავლის პროცესში;
- საქართველოში უპერსპერქტივო მომვლის შეგრძნება;
- მეგობრების/თემის/ სკეპტიკური დამოკიდებულება სწავლისადმი;

- არასწორად წარმართული საგაკვეთილო პროცესი;
- სხვა ენაზე საუბრის კომპლექსი;
- ოჯახის,მასწავლებლისა და სკოლის მიერ მოსწავლის სწავლის არ წახალისება;
- დაბალი თვითშეფასება;
- არაფორმალური განათლების უგულვებელყოფა სკოლის და მასწავლებლის მხრიდან;
- ოჯახის სოციალური სტატუსი;
- მათი ასაკისთვის უინტერესო სახელმძღვანელო;

1.5 კვლევის მიზანი

საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე მიზნად დავისახე :

- ქართულის, როგორც მეორე (სახელმწიფო) ენის შესწავლის პროცესში მოტივაციასთან დაკავშირებული პრობლემების დადგენა და მათი გადაჭრის გზების ძიება;
- საგაკვეთილო პროცესის გამდიდრება მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებელი ფორმალური და არაფორმალური აქტივობებით, მშობლების ჩართვა ამ აქტივობების განხორციელებაში და კოლეგებისთვის რეკომენდაციების მიცემა;

1.6 კვლევის ამოცანები

კვლეის მიზნიდან გამომდინარე დავსახე შემდეგი ამოცანები :

- ფოკუსჯგუფის ჩატარება კოლეგებთან (იხ. დანართი 1);
- ანკეტირება მოსწავლეებთან (იხ. დანართი 2);
- ფოკუსჯგუფის ჩატარება მოსწავლეებთან (იხ. დანართი 3);
- დიალოგი მშობლებთან (იხ. დანართი 4);
- მონაცემთა შეგროვება და ანალიზი;
- ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება;
- ექსკურსია უნივერსიტეტში. შეხვედრა თსუ-ს ახალგაზრდულ ცენტრში წარმატებულ არაქართველ სტუდენტებთან;
- ქართულ სკოლასთან დამეგობრების პროექტის განხორციელება - „ მეგობარო,ხელი გამომიწოდე“ ;
- მრავალფეროვანი და საინტერესო აქტივობებით დატვირთულ გაკვეთილების ჩატარება;
- ინტერვენციების ანალიზი და განმეორებითი ანკეტირება მოსწავლეებთან(დანართი 5);
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება;

- პრეზენტაცია;

ძირითადი საკვლევი კითხვები/ქვეკითხები

კვლევის დაწყებამდე შევიმუშავე ის ძირითადი საკითხები, რომლებიც დამეხმარებოდა კვლევის სწორად წარმართვასა და დასახული მიზნის მიღწევაში. ჩამოვაყალიბე მთავარი საკვლევი კითხვა : მოტივაციასთან დაკავშირებული რა პრობლემები არსებობს ქართულის, როგორც მეორე (სახელმწიფო) ენის სწავლა/ სწავლების პროცესში?

მთავარ კითხვაში დასმული პრობლემის დაძლევის მიზნით შევიმუშავე ქვეკითხვები:

- რამდენად აქვთ მოსწავლეებს ზოგადად სწავლის სურვილი?
- აქვთ თუ არა მოსწავლეებს ქართულის, როგორც მეორე(სახელმწიფო) ენის სწავლის მოტივაცია?
- რამდენად მრავალფეროვან აქტივობებს სთავაზობს მასწავლებელი მოსწავლეებს?
- ქართული ენის სწავლების პროცესში გაკვეთილის რომელი ნაწილია მათთვის ყველაზე მოსაწყენი/უინტერესო?
- რას აკეთებს მასწავლებელი მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად?
- რა აქტივობები უღვიძებს მოსწავლეს სწავლის ინტერესს?
- აძლევენ თუ არა მშობლები მოსწავლეებს სწავლის სტიმულს?
- რამდენად არის ოჯახი დაინტერესებული ქართული ენის შესწავლით?
- რამდენად ინფორმირებული არიან მოსწავლეები და მშობლები არაქართველი მოსწავლეებისათვის არსებული სახელმწიფო პროგრამების შესახებ?

თავი II
ლიტერატურის მიმოხილვა

2.1 მოტივაციის რაობა და თეორიები

ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რომელიც ზოგადი განათლების სისტემისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტია და განსაზღვრავს თუ როგორი თაობების აღზრდას უნდა შეუწყოს ხელი საქართველოს ზოგადი განათლების სისტემამ, ცალკე თავად არის გამოტანილი ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები, ერთ-ერთი მუხლი კი სწორედ მოტვაციას ეთმობა : *„მუხლი 34. მოსწავლის მოტივაციის გაზრდა მოსწავლის მოტივაციის გაზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს,*

რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშეწყობა და, პირიქით, იკლებს, თუ მიაჩნია, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა-შეფასებაა. ასევე, მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს დავალების მიზანს, დარწმუნებულია მის საჭიროებაში. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა გააგებინოს, რა მიზანს ემსახურება კონკრეტული დავალება. აუცილებელია, მოსწავლემ დაინახოს კავშირი სკოლაში მიმდინარე საქმიანობასა და სკოლის გარეთ" [3]

მოტივაცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტერმინია თანამედროვე პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში. საზოგადოდ, ადამიანის ქმედება უპირველეს ყოვლისა მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული, რასაც გარკვეული მიზეზები უდევს საფუძვლად. აქედან გამომდინარე, მოტივაცია შეიძლება განიმარტოს როგორც სასურველი მიზნის მიღწევისკენ მიმართული პროცესი. უფრო კონკრეტულად კი - მოტივაცია არის სტიმული, ქმედება, წახალისება, რომელიც იწვევს მოსწავლის სურვილს, იმოქმედოს, ისწავლოს, მიაღწიოს დასახულ მიზანს.

პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სწავლის მოტივაციას და მის განმაპირობებელ ფაქტორებს.უამრავი დისციპლინათაშორისი თეორია ცდილობს იმ ფაქტორების ახსნას, რომლებიც ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. ამ თეორიებს საინტერესოდ მიმოიხილავს ირინა აბულაძე 2014 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში. განსაკუთრებით კი რამდენიმე მათგანს გამოყოფს: *"**ატრიბუციის თეორია** ყურადღებას ამახვილებს იმ წარმოდგენებზე, რომლებიც ადამიანებს მაშინ უჩნდებათ, როცა ამა თუ იმ მოვლენას, შედეგს რაიმე კონკრეტულ ფენომენს უკავშირებენ. მაგალითად, გამოცდის ჩაბარება დაკავშირებულია გამართლებასთან, მოსწავლის დაბალი აკადემიური მიღწევები – სიზარმაცესთან… როდესაც ერთი მოსწავლე მეორე მოსწავლის მაღალ აკადემიურ მოსწრებას მის დიდ მცდელობას უკავშირებს, შესაძლოა, ამან მის მოტივაციაზე დადებითად იმოქმედოს. ყველა შემთხვევაში, ეს მოსწავლეებში აღძრავს გარკვეულ ემოციას, რამაც შესაძლოა იმოქმედოს მათ მოტივაციაზე. აკადემიურ კონტექსტში მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სწორად წარმართოს მოსწავლის ემოცია, მისი მიღწევა დაუკავშიროს არა იღბალს, არამედ მცდელობას, დაბალი აკადემიური მიღწევა კი კონკრეტული უნარების უქონლობით არ ახსნას.*

***მოლოდინების თეორიის** მიხედვით, წარმატების მიღწევის მოტივაციას, დიდწილად, საზოგადოების მხრიდან წარმატების მოლოდინი განსაზღვრავს. სასწავლო პროცესში ის სტუდენტები, რომელთა მიმართაც არსებობს მაღალი აკადემიური მიღწევების მოლოდინი, ძირითადად, აღწევენ კიდეც წარმატებას, იმ სტუდენტებთან შედარებით, ვის მიმართაც ასეთი მოლოდინი არ არსებობს.*

***სოციალური დასწავლის თეორია და მიზნის მიღწევის თეორია** – აქ აქცენტი კეთდება ადამიანის ბუნებაზე, ისწავლოს დაკვირვებით. მთავარ კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს ის, რომ ადამიანები და გარემო ერთმანეთზე ზეგავლენას ახდენენ.*

მოსწავლე სწავლობს მასწავლებელზე დაკვირვებით, ასევე თანატოლებზე დაკვირვებით. მოსწავლე მოტივირებულია, თუ არტიკულირებულია კონკრეტული მიზნები, რომლებსაც მასწავლებელი მასთან შეთანხმების საფუძველზე დასახავს. ამის მიღწევა მოსწავლისა და მასწავლებლის ჯანსაღი ურთიერთობის საფუძველზეა შესაძლებელი. გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მიერ მიზნების დასახვა არ ხდება მასწავლებელთან, თანატოლებთან თუ მშობლებთან ინტერაქციის გარეშე.

თვით-ეფექტურობის თეორიისთვის *ცენტრალური თემაა ინდივიდის რწმენა საკუთარი ეფექტურობისა, შესაბამისად, მისი მოტივაცია დამოკიდებულია წარმატების მიღწევის შესაძლებლობის აღქმაზე. მოსწავლეებში საკუთარი შესაძლებლობების რწმენის გაჩენა შესაძლებელია ისეთი აქტივობების განხორციელებით, რომლებიც მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემების გადაჭრას და სხვა."[5]*

მოტივაცია საკმაოდ ფართო, კომპლექსური საკითხია და მრავალ თეორიას მოიცავს. გამოყოფენ ორ ძირითად მიდგომას მოტივაციისადმი, რომლის შესახებაც საკმაოდ ამომწურავად საუბრობს ცვატა ბერძენიშვილი თავის სტატიაში. პირველ რიგში, ის განიხილავს მოტივაციისადმი ბიჰევიორისტულ მიდგომას და ამბობს : *„ბიჰევიორისტული მიდგომის მიხედვით, მოსწავლის მოტივაციის გაგება უნდა დავიწყოთ წამახალისებელი სტიმულებისა და ჯილდოების დაკვირვებული ანალიზით. ჯილდო ის მიმზიდველი ობიექტი ან მოვლენაა, რომელიც შედეგად მოსდევს გარკვეულ ქცევას. იმპულსი ის ობიექტები ან მოვლენებია, რომლებიც აღძრავს ან, პირიქით, ახშობს ქცევას. მაგალითად, დამატებითი ქულების დაპირება წამახალისებელი სტიმული შეიძლება აღმოჩნდეს მოსწავლისთვის.თუ ჩვენ მუდმივად წაგვახალისებენ გარკვეული ქცევის გამო, ჩვენ განგვივითარდება გარკვეული ჩვევა ან ტენდენცია – განვახორციელოთ ხოლმე გარკვეული ტიპის ქცევა. მაგალითად, თუ მოსწავლე ფეხბურთის თამაშის გამო ჯილდოდ მიიღებს ხან ფულს, ხან საჩუქრებსა და პრივილეგიებს, ხოლო მის სწავლას ნაკლები ყურადღება მიექცევა, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი დიდ დროს დაუთმობს ფეხბურთში ვარჯიშს და არა გეომეტრიის სწავლას. კარგი ნიშნები, ვარსკვლავები, სტიკერები და სხვა საშუალებები განმტკიცებისათვის ან გარკვეული დამსჯელი ღონისძიებები ცუდი საქციელისათვის – ეს ყველაფერი არის მცდელობა მოსწავლეთა მოტივირებისათვის გარეგანი იმპულსის, ჯილდოების ან დასჯის გამოყენებით."* [7] მოტივაციისადმი ბიჰევიორისტული მიდგომის შემდეგ ცვატა ბერძენიშვილი ყურადღებას ამახვილებს მოტივაციისადმი ჰუმანისტურ მიდგომაზე და მასთან დაკავშირებით თეორიტიკოსების ნააზრევი მოჰყავს: *„მოტივაციის ჰუმანისტური ინტერპრეტაცია ხაზს უსვამს ისეთ შინაგან წყაროებს, როგორიცაა პიროვნების „თვითაქტუალიზაციის" მოთხოვნილება, თანდაყოლილი „აქტუალიზაციის ტენდენცია" ან „თვითგანსაზღვრის" მოთხოვნილება. ასე რომ, ჰუმანისტურ ჭრილში, მოტივირება ნიშნავს ადამიანების შინაგანი რესურსების – მათი კომპეტენტურობის, თვითშეფასების, ავტონომიისა და თვითაქტუალიზაციის წაქეზებას.*

მასლოუს თეორია მოტივაციის ცნობილი ჰუმანისტური ახსნაა.აბრაჰამ მასლოუ ვარაუდობდა, რომ ადამიანებს გააჩნიათ მოთხოვნილებათა იერარქია მთელი დიაპაზონით – დაბალიდან (მაგ. უსაფრთხოება) მაღალი რანგის მოთხოვნილებებამდე (თვითაქტუალიზაცია). თვითაქტუალიზაცია მასლოუს მიერ შემოტანილი ტერმინია, რითაც იგი პიროვნების სრულ თვითრეალიზაციას, მისი პოტენციალის სრულ რეალიზებას აღნიშნავდა. სანამ მოთხოვნილებათა შემდეგ საფეხურზე გადავიდოდეთ, უნდა დაკმაყოფილდეს უფრო დაბალი რანგის მოთხოვნილებები." [7] ფსიქოლოგებმა მასლოუს თეორია გააკრიტიკეს, იმის გამო, რომ ადამიანები ყოველთვის ისე როდი იქცევიან,როგორც მის თეორიაშია გადმოცემული.კრიტიკის მიუხედავად, მასლოუს თეორია საშუალებას გვაძლევს მთლიანობაში აღვიქვათ მოსწავლე, რომლის ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური მოთხოვნილებები ერთმანეთისაგან გამომდინარეობს.

2.2 შინაგანი და გარეგანი მოტივაცია

სიტყვა მოტივირება მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „motus" და მოძრაობას ნიშნავს.სწორედ ამოძრავება, გააქტიურებაა საჭირო იმისათვის, რომ ადამიანს რაიმე დავალების შესასრულებლად ბიძგი მივცეთ. ცნობილია, რომ არა მარტო სწავლას, არამედ ნებისმიერ აქტივობას მოტივაცია სჭირდება. მოტივაცია გულისხმობს ისეთი სიტუაციის შექმნას, რომელიც მოსწავლეს სწავლის ხალისსა და უნარს შეჰმატებს,ის საფუძველს უქმნის ცოდნის მიღების ხარისხს.ყველა ადამიანი დაბადებიდანვე მიისწრაფვის სიახლეებისკენ, რაც მისი წარმატებისა და განვითარების აუცილებელი პირობაა. თუ მოსწავლეს ნეისმიერ ეტაპზე ჩამოუყალიბდება უარყოფითი დამოკიდებულება სწავლისადმი, მაშინ მისი მოტივაცია დაქვეითდება, შესაბამისად, ცოდნის დონეც დაიკლებს. მაგრამ თუ სწავლის პროცესი ემსახურება მოსწავლეებში ინტერესებისა და დადებით ემოციების აღძვრას, მაშინ მოზარდისთვის სწავლა სასიამოვნო გახდება.სკოლისა და მასწავლებლის უმთავრესი დანიშნულებაც სწორედ ისაა, რომ სწავლა არა იძულებით, არამედ ბუნებრივ, სახალისო პროცესად აქციოს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საიტზე სწავლის მოტივაციის ასეთ განმარტებას ვპოულობთ : *„**სწავლის მოტივაცია** - ყველა აქტივობას მოტივაცია უდევს საფუძვლად. მოტივაცია არის ქცევის განხორციელების ფსიქოლოგიური საფუძველი. რაც უფრო მეტად მოტივირებულნი არიან მოსწავლეები, მით მეტია სწავლის ხარისხი, რაც ნაკლებად არიან – შესაბამისად, სწავლის ხარისხიც იკლებს. არსებობს შინაგანი და გარეგანი მოტივაცია. მოსწავლის სასწავლო აქტივობები შეიძლება განპირობებული იყოს მისი **შინაგანი და გარეგანი** მოტივაციით. შინაგანად მოტივირებული მოსწავლისათვის უფრო მნიშვნელოვანია თავად აქტივობა, ვიდრე მოსალოდნელი ჯილდო.გარეგან მოტივაციას კი მაშინ აქვს ადგილი, როცა მოსწავლე*

შესრულებული სასწავლო აქტივობისათვის მოელის წახალისებას, ჯილდოს (კარგი ქულა, შექება, კლასში გარკვეული სტატუსის მოპოვება და ა.შ.) ამ დროს განხორციელებული სასწავლო აქტივობა შესაძლებელია მოსწავლისთვის არ იყოს საინტერესო.

ზოგიერთი მოსწავლე დიდი ენთუზიაზმით ეკიდება სწავლას, რადგან მას აინტერესებს საგანი და სწავლის პროცესი. მაგრამ არიან ისეთი მოსწავლეები, რომლებიც მასწავლებლის მხარდაჭერის გარეშე სწავლისადმი დიდ ინტერესს არ იჩენენ. მათ მუდმივად სჭირდებათ შექება, სტიმული და თანადგომა."[4]

ფსიქოლოგები, რომლებიც იზიარებენ მოტივაციის შინაგანად და გარეგანად დაყოფას, ამბობენ, რომ ძნელია განვსაზღვროთ კონკრეტულ შემთხვევაში მოტივაცია შინაგანია თუ გარეგანი. რადგანაც მოსწავლის სასწავლო აქტივობას განაპირობებს როგორც გარეგანი, ისე მისი შინაგანი მოტივაცია, ამიტომ, აუცილებელია, სწავლების პროცესში სკოლის და მასწავლებლის მხრიდან შემუშავებული იყოს სტრატეგიები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდას ორივე მიმართულებით. მოტივაცია მოიცავს როგორც პიროვნულ ნიშნებს, ასევე გარემო ფაქტორებს, მოსწავლე შეიძლება კონკრეტულ სიტუაციაში მოტივირებული იყოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მუხტს ის ყოველთვის შეინაჩუნებს. ამიტომაც, მასწავლებელი მუდმივად უნდა ცდილობდეს, მოსწავლეს რომელსაც აქვს შინაგანი მოტივაცია, არ დაუქვეითდეს ის,ხოლო მას,ვისაც არ აქვს,პირიქით,გაეზარდოს .

2.3 მოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორები

ადამიანის მიერ განხორციელებლ თითქმის ყველა აქტივობას მოტივაცია უდევს საფუძვლად. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ შინაგან და გარედან მოტივაციაზე და დავასკვენით, რომ მოსწავლის სასწავლო აქტივობას განაპირობებს როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მოტივაცია. 2015 წელს ინტერნეტგაზეთ „მასწავლებელში" გამოქვეყნებულ სტატიაში თეო ჭყოიძე ყურადღებას ამახვილებს მაღალი მოტივაციის განმსაზღვრელ შიდაპიროვნულ ფაქტორებზე *:*

„ 1.ცნობისმოყვარეობა

ადამიანი ბუნებით ცნობისმოყვარეა. ის გამუდმებით ეძებს ახალ გამოცდილებას, თავსატეხს, ცდილობს, გადაჭრას ახალ-ახალი პრობლემები და ა.შ., რის შედეგადაც მას ისეთი უნარები და კომპეტენციები უვითარდება, რომლებიც ხელს უწყობს გარემოსთან ადაპტაციასა და შინაგანი წონასწორობის დამყარებაში.

სწავლა-სწავლება ყველაზე ეფექტურია მაშინ, როდესაც იგი მოსწავლის ინტერესებისკენ არის მიმართული. მასწავლებლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა,

მოსწავლეებს გაუღვიძოს ცნობისმოყვარეობა შესასწავლი საკითხის მიმართ. ცნობისმოყვარეობა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელი ფაქტორია და, ამდენად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლა-სწავლების პროცესში. ის გონებას მიმართავს პასიურობიდან აქტიურობისკენ, ახალი იდეების აღმოჩენისა და ჰიპოთეზების წარმოდგენისკენ, ახალი მოვლენებისა და ფაქტების შემეცნებისკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცნობისმოყვარეობა მოსწავლეს კვლევა-ძიებისკენ უბიძებს.

2.თვითრწმენა

თვითრწმენა მნიშვნელოვანი მოტივია სწავლისადმი პოზიტიური განწყობის შესაქმნელად. იმისთვის, რომ მოსწავლე სასწავლო პროცესში აქტიურად ჩაერთოს, ის დარწმუნებული უნდა იყოს საკუთარ შესაძლებლობებში და ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს დასახული მიზნის მიღწევაში. წარმატების განცდა მოსწავლეს, საზოგადოდ, ადამიანს ხშირად აღუძრავს სურვილს, აღმოჩნდეს მსგავს მდგომარეობაში, რაც თავისთავად იქცევა შინაგანი მოტივაციის განმაპირობებელ ფაქტორად.

3. დამოკიდებულება

რა არის დამოკიდებულება?

დამოკიდებულება შეიძლება განიმარტოს როგორც ადამიანის მიერ მოვლენების, ფაქტების, იდეების, პიროვნებების და ა.შ. პოზიტიური ან ნეგატიური შეფასება. ის დამოკიდებულია გარე სამყაროს ინდივიდუალურ აღქმაზე და მომდინარეობს ადამიანის ფიქრებიდან, ემოციებიდან, გრძნობებიდან და გამოცდილებიდან. პირადი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უმთავრესად ის გარემო, საზოგადოება, რელიგია, კულტურა და ტრადიცია განაპირობებს, რომელშიც ადამიანი იზრდება და ვითარდება. აქვე უნდა ითქვას, რომ დამოკიდებულების შეცვლაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი გარემო, სადაც ღირებულებების, კულტურული და საზოგადოებრივი ნორმების შეფასება-გადაფასება სულ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს. სკოლა, ოჯახი, საზოგადოება, საინფორმაციო საშუალებები და სხვ. გამუდმებით ცდილობენ, შეცვალონ ადამიანის ფიქრები, ემოციები და განცდები ამა თუ იმ საკითხისა თუ მოვლენის მიმართ. აი, ამ რთულ ინფორმაციულ გარემოში მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა შეასრულოს გზამკვლევის როლი მოსწავლეთა პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში.

4. მოთხოვნილებები

მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები შესაძლოა ერთმანეთისგან მეტად განსხვავებული იყოს. ამის შესახებ ყველაზე ცნობილ კლასიფიკაციას ამერიკელი ფსიქოლოგი აბრაჰამ მასლოუ გვთავაზობს. ის ადამიანის მოთხოვნილებათა ხუთ კატეგორიას გამოყოფს: 1. ბიოლოგიური (კვების, წყურვილის დაკმაყოფილების,

ძილის…) მოთხოვნილებები; 2. უსაფრთხოების (სტაბილურობის, დაცულობის განცდის…) მოთხოვნილება; 3. კუთვნილებისა და სიყვარულის (ოჯახის, გუნდის, ურთიერთობების, ემპათიის…) მოთხოვნილება; 4. საკუთარი თავის მიმართ პატივისცემისა და აღიარების (ამა თუ იმ სტატუსის ქონის, წარმატების, რეპუტაციის მოპოვების…) მოთხოვნილება; 5. თვითრეალიზაციის მოთხოვნილება. „ [12]

მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდის გარეგან ფაქტორებზე ყურადღებას ასევე ამახვილებს ნანა ცინცაძე .შევჩერდეთ რამდენიმე მათგანზე *:*

„1.მოსწავლის ფაქტორი

მოსწავლეები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან აკადემიური უნარების მიხედვით, ინტელექტის ტიპით, სოციალური თუ კულტურული გამოცდილებით, სურვილებით, დამოკიდებულებებით, მოლოდინებით…

2. მასწავლებლის ფაქტორი

მოსწავლე მასწავლებელს პატივს სცემს პროფესიონალიზმის, ცოდნის, პიროვნული თვისებების გამო. მოსწავლეთა მოტივაციის მიზეზი შეიძლება იყოს მასწავლებლის მიერ კონკრეტული საგნის მაღალ დონეზე ფლობა.

მოსწავლესა და მასწავლებელს შორის უნდა იყოს მეგობრულ-კეთიგანწყობილი დამოკიდებულება. მასწავლებლის მოლოდინები გავლენას ახდენს მოსწავლეთა იმ შედეგებზე, რომელიც ამ მოლოდინებს უკავშირდება.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი იზიარებდეს მოსწავლის განცდებსა და აზრებს, ამავდროულად აუცილებელია, რომ მასწავლებელმა სხვადასხვა ხარისხის მხარდაჭერა შესთავაზოს მოსწავლეებს. მოსწავლე მეტი ხალისით თანამშრომლობს მასწავლებელთან, რომელიც უყვარს. დისციპლინის პრობლემები ნაკლებად მოსალოდნელია კლასში, სადაც საქმიანი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ატმოსფეროა.

3. საგნობრივი სტანდარტი

დღევანდელი სასწავლო პროგრამა და სახელმძღვანელოები გადატვირთულია მრავალფეროვანი, ხშირად ძნელად აღსაქმელი მასალით. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს მთავარი საკითხებისა და მისი შემადგენელი დეტალების გააზრებაში, სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს გავაცნოთ სწავლის ეფექტური სტრატეგიები, ვასწავლოთ მათი გამოყენება და დავუსაბუთოთ მათი გამოყენების სარგებელი.

4. მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში

სკოლის ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მოტივაციისა და წარმატებისათვის. მშობელთა აქტიურობა ამდიდრებს სკოლის კულტურას და ხელს უწყობს მოსწავლის გააქტიურებას.

კვლევებმა აჩვენა, რომ სკოლებმა, სადაც მშობელთა ჩართულობის ეფექტური პროგრამები არსებობს, მიიღეს მრავალი პოზიტიური შედეგი, მათ შორის მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესება.

გასათვალისწინებელია, რომ მშობელი ერთ-ერთი მთავარი რესურსია, რომელიც მასწავლებელმა და სკოლამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს. „ [11]

და ბოლოს, ვნახოთ როგორ არის ეს საკითხი განხილული ეროვნულ სასწავლო გეგმაში, რა რჩევებს აძლევს ეს დოკუმენტი მასწავლებლებს მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად : *„იმისათვის, რომ ავამაღლოთ მოსწავლეთა მოტივაცია, ყურადღება უნდა გავამახვილოთ მის განმაპირობებელ ფაქტორებზე, კერძოდ:*

- *მოსწავლეებსუნდა გავუღვიძოთცნობისმოყვარეობაშესასწავლისაკითხის/თემის, მიმართ; გავამდიდროთსასწავლოპროცესიმრავალფეროვანიდა საინტერესო სასწავლომასალითა და აქტივობებით,სწავლებისახალიმეთოდებითადასტრატეგიებით.*

- *უნდა დავარწმუნოთ ისინი საკუთარ შესაძლებლობებში. სწორედ ამისთვის არის საჭირო, რომმასწავლებელიფლობდესინფორმაციასმოსწავლეებისცოდნისდონისადაუნარების შესახებ.გამოვიყენოთსხვადასხვასირთულისა და ტიპისდავალებები.*

- *უნდა შევქმნათ თანამშრომლობითი ატმოსფერო. ერთი მხრივ, ეს გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში და, მეორე მხრივ, მათში კონსტრუქციული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. ამისთვის, სასურველია:*

- *მასწავლებელმა მოსწავლესთან ერთად დაგეგმოს კონკრეტული აქტივობები; განსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს ეტაპები; განახორციელოს ჯგუფური სამუშაოები; ჩართოსმოსწავლეებიცოდნისშეფასებისინსტრუმენტებისმომზადებაში. მათთან ერთად შეიმუშაოს შეფასების კრიტერიუმებიდა ინდიკატორები. დაეხმაროს მოსწავლეებს სწავლის სტრატეგიების გამომუშავებაში დასხვა.*

- *მოსწავლეებს უნდა ჩამოუყალიბოს შეცდომებისადმი კონსტრუქციული დამოკიდებულება. მათ უნდა იცოდნენ, რომ შეცდომებისწავლისსაუკეთესოსაშუალებაა. გახადოს ისინი მიმტევებელნი / შემწყნარებელნი როგორც საკუთარი, ისე სხვისი შეცდომების მიმართ.“[1]*

როგორც ზემოთ განხილული ფაქტორებიდან ჩანს, მოტივაციის წყაროები საკმაოდ მრავალფეროვანია და თითოეული მათგანი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს

მოსწავლის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების პროცესში. მასწავლებელს, რომელსაც სურს ხელი შეუწყოს მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდას, უნდა წარმართოს სასწავლო პროცესი ისე, რომ გაითვალისწინოს მოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორები.მან უნდა შექმნას ეფექტური და შემოქმედებითი სასწავლო გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდას.

2.4 მოტივაციის როლი მეორე ენის შესწავლის პროცესში

თანამედროვე საზოგადოება,რომელიც შლის ყველანაირ გეოგრაფიულ საზღვარს და ეთნოკულტურულ ბარიერს ურთიერთობაში, გვიყენებს უამრავ მოთხოვნას,მათ შორისაა მრავალფეროვანი/მრავალენოვანი განათლების აუცილებლობა.განათლების თანამედროვე ტენდენციები მოსწავლის პიროვნულ და შემეცნებით განვითარებასთან ერთად პრიორიტეტს უცხო ენის შესწავლას ანიჭებს.ადამიანის მიერ უცხო ან მეორე ენის შესწავლა არ შემოიფარგლება მხოლოდ საყოფაცხოვრებო და საკომუნიკაციო სფეროთი,ის ბევრად უფრო მაღალ საფეხურზე აცხადებს პრეტენზიას.რა არის მეორე ენა? *„მეორე ენად იწოდება ის ენა, რომელსაც ადამიანი ქრონოლოგიურად პირველი ენის შემდგომ ან პირველი ენის პარალელურად ითვისებს და ეუფლება. მეორე ენა ის ენაა, რომელზეც ადამიანი არაფორმალურ, ყოფით გარემოში ამყარებს კონტაქტს ამავე ენაზე მოსაუბრე სხვა ადამიანებთან. როგორც წესი, მეორე ენა ფიგურირებს იმ ადამიანების ცხოვრებაში, რომლებიც ცხოვრობენ იმ ქვეყანაში, სადაც მოცემული ენა წარმოადგენს მშობლიურ ენას.“ [10]*

ჩვენს ქვეყანაში ქართული ენის სწავლების საკითხი საკმაოდ აქტუალურია, რადგან საქართველო მრავალენოვანი, მულტიკულტურული ქვეყანაა, სადაც სხვადასხვა ეროვნების ადამიანები დასახლებული არიან კომპაქტურად და ქმნიან ენობრივ უმცირესობებს. მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, შესწავლა, რათა სრულად იყვნენ ინტეგრირებული საზოგადოებაში და სრულფასოვან მოქალაქეებად ჩაითვალონ.

კონკრეტულად რა ფსიქოლოგიური ფაქტორები განსაზღვრავს მეორე ენის შესწავლას, ამის განსასაზრვრად საინტერესოა რამდენიმე მეცნიერის მოდელის განხილვა „ლამბერტის მოდელის (1962; 1984) მიხედვით მეორე ენის წარმატებით დაუფლების ძირითადი ფაქტორი არის მოტივაცია, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს მეორე - უცხო ენის შესწავლაში იდენტურობის განვითარებას. ინდივიდის სურვილი და მზადყოფნა, შეისწავლოს უმრავლესობის ენა, იყოს ეს მისი ცხოვრების მთავარი ღირებულება და თვითრეალიზაციის საშუალება, ლამბერტისათვის წარმოადგენს ინტეგრაციულ ორიენტირს სოციუმში. სწორედ ეს ინტეგრაციის მოტივაცია (სოციუმში

ინტეგრაციაზე ორიენტირება არის მის მოდელში მთავარი ცვლადი და მეორე ენის წარმატებით ათვისების წინაპირობა.

გარდნერის სოციალურ-აღმზრდელობითი მოდელი (გარდნერი,1979;1985) გარკვეულწილად ეფუძნება ლამბერტის მოდელს,თუმცა,მისგან განსხვავებით,ის განიხილავს მეორე ენის შესწავლის კონტექსტში სოციალურ-კულტურული გარემოს ზემოქმედებასაც.იგი გამოყოფს ოთხ ძირითად შუალედურ ცვლადს,რომლებიც გავლენას ახდენენ მეორე ენის დაუფლების ხარისხზე. ესენია: ინტელექტი,ენის ნიჭი(ტალანტი),მოტივაცია,ენისგამოყენების სიტუაციური შიში“ [6]

მურიელ სავილიე-ტროიკე არიზონას უნივერსიტეტის პროფესორი თავის ერთ-ერთ ნაშრომში,რომელშიც საუბარია მეორე ენის ათვისების ფსიქოლოგიაზე, მოტივაციის ფართოდ აღიარებულ სახეობებს გამოჰყოფს : *„მოტივაციის ფართოდ აღიარებული სახეობებია ინტეგრაციული და ინსტრუმენტული. ინტეგრაციული მოტივაცია ემყარება შემდეგს: მეორე ენის შესწავლის ინტერესს განაპირობებს ადამიანის სურვილი, ისწავლოს ან დაამყაროს კონტაქტი ამ ენაზე მოლაპარაკეებთან (მაგ. სასიყვარულო ურთიერთობებისათვის). ასევე, შესაძლოა, ადამიანს ჰქონდეს განზრახვა, ინტეგრირდეს მეორე ენაზე მოლაპარაკეთა საზოგადოებაში. ნებისმიერ შემთხვევაში, ემოციური ფაქტორები გადამწყვეტია. ინსტრუმენტული მოტივაციის დროს მეორე ენის შესწავლას წმინდა პრაქტიკული ღირებულება აქვს. ეს შეიძლება იყოს დასაქმების ან ბიზნესის შესაძლებლობების ზრდა, პრესტიჟისა და გავლენის ამაღლება, ტექნიკურ და სამეცნიერო ლიტერატურაზე ხელმწისაწვდომობა, ან, უბრალოდ, გამოცდის ჩაბარება სკოლაში.არც ერთი აქ ჩამოთვლილი მიზანი არ არის მეორეზე უპირატესი მეორე ენის ათვისების თვალსაზრისით. თუკი რომელიმე მათგანის უკეთესი ეფექტი დამოკიდებულია რთულ პირად და სოციალურ ფაქტორებზე (მაგ. თუ მეორე ენას სწავლობს საზოგადოების დომინანტური ჯგუფის წევრი), შესაძლებელია, ინტეგრაციული მოტივაცია იყოს წამყვანი, ხოლო თუ დაქვემდებარებული ჯგუფის წევრი სწავლობს, შესაძლებელია, ის უფრო მეტად ინსტრუმენტული მოტივაციის გავლენას განიცდიდეს.*

მეორე ენის ათვისების თეორიის შედარებით ახალ კვლევებში (შუმანი, 1997, 2001) გამოთქმულია ვარაუდი, რომ მეორე ენის ათვისების პროცესში მოტივაცია, მისი წარდგენა და დამუშავება კონტროლდება ნევროლოგიური მექანიზმებით. ჩვენი ტვინის სპეციფიკური ზონები ახდენს „სტიმულების შეფასებას“, რითაც ფასდება მოვლენების მოტივაციური შესაბამისობა, სხვა სტიმულები და განსაზღვრავება, როგორი იქნება ჩვენი პასუხი მათზე (იმის ჩათვლით, როგორია ჩვენი დამოკიდებულება და რა მაქსიმალური ძალისხმევა იქნება გამოყენებული). მოტივაციის პოტენციური ძალა ჩანს იშვიათ შემთხვევებში, როდესაც მოზრდილი შემსწავლელებიც კი ახერხებენ, ისწავლონ გამოთქმა მშობლიურთან მიახლოებულ დონეზე, თუკი ეს მნიშვნელოვანია“ [9]

ფაქტია, რომ მეორე (სახელმწიფო) ენის შესწავლა არც ისე ადვილი პროცესია, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს, არც მისი სწავლებაა ადვილი. პროცესის ეფექტურად წარმართვა მთელ რიგ საჭიროებებზეა დამყარებული. ამ საკითხზე მსჯელობისას აუცილებლად გასათვალისწინებელია გარემოებები, რომლებშიც მეორე ენის ათვისება მიმდინარეობს. არის შემთხვევები, როდესაც ენის შემსწავლელი მისსავე სოციუმში აწყდება წინააღმდეგობას, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მეორე ენის შესწავლის პროცესს. დაბრკოლება შეიძლება სხვადასხვა რამ აღმოჩნდეს მაგ : ოჯახი, თემი, სკოლა, მასწავლებელი, მოტივაცის არქონა, შეუსაბამო სასწავლო გარემო, სახელმძღვანელოები და ა. შ. ამ შემთხვევაში მართვის სადავეები მასწავლებელს უჭირავს ხელთ, მას შეუძლია ისე დაგეგმოს სასწავლო პროცესი, რომ მოსწავლეს გაუღვიძოს სწავლის მოტივაცია, მშობელი კი თანამოაზრედ გაიხადოს, დაანახოს მათ სახელმწიფო ენის შესწავლის საჭიროება და ამ ენაზე საუბრის შედეგად მიღებული პრივილეგიები.

თავი I I I

კვლევის დიზაინი

3.1 სამიზნე ჯგუფი

ჩემი სამიზნე ჯგუფი მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან. კლასში 8 მოსწავლეა. მათი მშობლიური ენა სომხურია, მაგრამ, რადგანაც რუსულ სკოლაში იღებენ განათლებას, ისინი რუსულს, როგორც მშობლიურ ენას შეისწავლიან. ქართულს კი, როგორც მეორე (სახელმწიფო) ენას, პირველი კლასიდანვე ეუფლებიან. მოსწავლეებს ქართულ ენაზე წერა-კითხვის, ლაპარაკისა და უკუკავშირის მიღების საშუალება მხოლოდ ქართული ენის გაკვეთილზე(დღეში 40 წუთი) აქვთ.

3.2 კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის პროცესში გადავწყვიტე გამომეყენებინა კვლევის ორივე მეთოდი: რაოდენობრივი და თვისობრივი. თვისობრივი მეთოდებიდან გამოვიყენე ფოკუს ჯგუფი მოსწავლეებთან და კოლეგებთან, დიალოგი მშობლებთან, ხოლო რაოდენობრივი მეთოდებიდან - ანკეტირება მოსწავლეებთან.

- **ფოკუს ჯგუფი** - გამოვიყენე როგორც კოლეგებთან ,ასევე მოსწავლეებთან,რათა უკეთ დამედგინა გაკვეთილზე მოსწავლეების ჩართულობისა და მოტივაციის

ხარისხი. ფოკუს ჯგუფისთვის მომზადებული კითხვების დახმარებით, მოვახერხე პრობლემის კიდევ უფრო გამოკვეთა და არსებული სიტუაციის გათავისება.

- **ანკეტირება** - მოსწავლეებში მოტივაციასან დაკავშირებული პრობლემების გამოსაკვეთად გამოვიყენე ანკეტირება. შევეცადე, ისეთი კითხვები შემეტანა ანკეტირებაში, რომელიც მომცემდა რეალური სურათის დანახვის საშუალებას, დამეხმარებოდა მოსწავლთა დაბალი და მაღალი მოტივაციის გამომწვევი მიზეზების დადგენაში. ანკეტირების მეთოდი ასევე გამოვიყენე ინტერვენციების ანალიზისთვისაც.
- **დიალოგი** - იმის გამო,რომ მშობლების უმეტესობა ძალიან ცუდად(თითქმის არა) ფლობს ქართულ ენას, გადავწყვიტე მათთან სამუშაოდ დიალოგის მეთოდი გამომეყენებინა. ვთარგმნე კითხვები მათ მშობლიურ ენაზე. დიალოგის მეთოდი ჩემთვის ხელსაყრელი იყო იმიტომაც, რომ მათ ჰქოდათ საშუალება კითხვებზე შედარებით მოკლე პასუხები გაეცათ, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მეც მქონოდა დამაზუსტებელი კითხვების დასმის შესაძლებლობა.

3.3 კვლევის გეგმა და ვადები

პედაგოგიური პრაქტიკის კველევა განვახორციელე 2019 წელს (იანვარი-ივნისი).

აქტივობა	**იანვარი**	**თებერვალი**	**მარტი**	**აპრილი**	**მაისი**	**ივნისი**
➚ საკვლევი თემის შერჩევა	✓					
➚ ლიტერატურის მოძიება და დამუშავება	✓					
➚ კვლევის დღიურის წარმოება	✓	✓	✓	✓	✓	
➚ კვლევის მეთოდების შერჩევა ➚ კითხვების შედგენა მოსწავლეთა ანკეტირებისთვის და მისი ჩატარება		✓				
➚ კოლეგებთან ფოკუს		✓				

ჯგუფისთვის კითხვების მომზადება და მისი ჩატარება						
➚ მიღებული შედეგების ანალიზი		✓				
➚ მოსწავლეებთან ფოკუსჯგუფისთვის კითხვების მომზადება და ჩატარება		✓				
➚ მშობლებთან დიალოგისთვის მომზადება და მისი ჩატარება			✓			
➚ მონაცემთა ანალიზი და ინტერვენციების დაგეგმვა			✓			
➚ ინტერვენციების განხორციელება			✓	✓	✓	
➚ ანკეტირების მეთოდით ინტერვენციების შედეგების ანალიზი					✓	
➚ კვლევის პრეზენტაცია						✓

თავი IV
კვლევს შედეგები

4.1 მონაცემთა ანალიზი

საკვლევი თემის შემუშავების შემდეგ, გადავწყვიტე, კვლევის პროცესში გამომეყენებინა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მეთოდი, რათა შედეგი უფრო თვალსაჩინო და სანდო ყოფილიყო. პირველ ეტაპზე გამოვიყენე თვისობრივი მეთოდი- ფოკუსჯგუფი, შევიმუშავე კითხვები და განვახორციელე ის კოლეგებთან. შემდეგ ეტაპზე ჩავატარე ანკეტირება მოსწავლეებთან, გავაანალიზე მისი შედეგები და რადგან შედეგმა არ მომცა რეალური მდგომარეობის სრულყოფილად აღქმის საშუალება და კვლავ დამიტოვა პასუხგაუცემელი კითხვები, გადავწყვიტე, თვისობრივი მეთოდისთვის, ფოკუსჯგუფისთვის მიმემართა. მოსწავლეებთან ჩატარებულმა ფოკუსჯგუფმა გამოავლინა მშობლების გამოკითხვის საჭიროებაც, რაც საშუალებას მომცემდა ბავშვებთან ჩატარებული კვლევის შედეგები გამემყარებინა. ამიტომაც, კვლევის შემდეგ ეტაპზე, მოვიწვიე მშობლები და პრობლემურ საკითხზე სასაუბროდ შევარჩიე დიალოგის ფორმა. ამ მეთოდის არჩევა ენობრივი ბარიერის არსეობობის გამო გადავწყვიტე და კითხვები მათ მშობლიურ ენაზე ვთარგმნე. დიალოგის მეთოდი მაძლევდა დასმულ კითხვებზე მოკლე, მაგრამ ამომწურავი პასუხების მიღების საშუალებას.

ახლა კი უფრო დეტალურად განვიხილავ თითოეული მეთოდის შედეგებს და გავაანალიზებ მათ.

კოლეგებთან ფოკუსჯგუფის ანალიზი - რადგანაც მოტივაციის პრობლემაზე მუშაობის იდეა უცხოური ენების კათედრის ერთ-ერთ შეხვედრაზე გამიჩნდა, გადავწყვიტე, საკვლევ თემის გასაშლელად ჩამეტარებინა ფოკუსჯგუფი კოლეგებთან. ფოკუსჯგუფს უცხოური ენების კათედრის ხუთი მასწავლებლები ესწრებოდა. მათი განცხადებით, სწავლისადმი დაბალ მოტივაციას უფრო ის მოსწავლეები იჩენდენ, რომლებსაც არ ჰქონდათ ოჯახის მხარდაჭერა, მათი თქმით, ასეთი მოსწავლეების ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო, მშობლები არ იჩენდნენ ინტერესს სასწავლო პროცესის მიმდინარეობისადმი და შესაბამისად, ბავშების წახალისებასაც ვერ ახერხებდნენ. კოლეგებმა პრობლემა თავიანთ პროფესიულ საქმიანობაშიც დაინახეს და თქვეს, რომ ისინი ნაკლებად იყენებენ არაფორმალურ განათლებას სასწავლო პროცესში, რაც უფრო სახალისოს და საინტერესოს გახდიდა გაკვეთილებს მოსწავლისთვის. ამის მიზეზად მათ ყოფითი პრობლემები და შესაბამისი რესურსების ნაკლებობა დაასახელეს. მათი თქმით, მოსწავლისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია, როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი მოტივაცია. აქვე აკონკრეტებენ, რომ გარეგანი მოტივაციის მიცემის საკითხში მხოლოდ მასწავლებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, აქ ისინი სკოლის, მშობლისა და სახელმწიფოს მხარდაჭერის აუცილებლობას ხედავენ.

შეხვედრის დასასრულს, კოლეგებისგან მივიღე რჩევები, თუ რა აქტივობებით შეიძლებოდა დამეტვირთა სასწავლო პროცესი, რომ ნაკლებადმოტივირებულ მოსწავლეებსა და მშობლებში სწავლისადმი ინტერესი გამეღვიძებინა.

მოსწავლეების ანკეტირების შედეგების ანალიზი:

ანკეტირებაში მონაწილეობდა შაუმიანის N2 საჯარო სკოლის რვა მოსწავლე. თითოეულ კითხვაზე მოსწავლეთა პასუხები წარმოვადგინე დიაგრამის სახით.






3.არის თუ არა საინტერესო და მრავალფეროვანი მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული აქტივობები?
ნაწილობრივ 63%
დიახ 37%
არა 0%
დიახ
არა
ნაწილობრივ


4.გაძლევთ თუ არა ზოგადად სწავლის მოტივაციას მშობელი?
ნაწილობრივ 38%
დიახ 37%
არა 25%
დიახ
არა
ნაწილობრივ


5.ხედავენ თუ არა თქვენი მშობლები ქართული ენის შესწავლის საჭიროებას?
ნაწილობრივ 22%
დიახ 47%
არა 31%
დიახ
არა
ნაწილობრივ



მოსწავლეებთან ანკეტირებამ მეტ-ნაკლებად გამოავლინა მათი, საჭიროებები და დამოკიდებულებები. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეების ნაწილს აქვს ქართული ენის შესწავლის მოტივაცია, ნაწილს კი - ნაკლებად. მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობები მათთვის ნაწილობრივაა საინტერესო. გამოვლინდა, რომ მშობლების ნაწილი დაინტერესებულია შვილის აკადემიური მოსწრებით და მის მომავალს სახელმწიფო ენის შესწავლაში ხედავს, ნაწილი კი - ნაკლებად, ან საერთოდ არა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, პრობლემის უკეთ წარმოსაჩენად, მოსწავლეთა საჭიროებების, გაკვეთილის ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად და მიღებული შედეგების გასამყარებლად, გადავწყვიტე, მოსწავლეებთან ჩამეტარებინა ფოკუსჯგუფი, რომელიც მოსწავლეებს აზრის თავისუფლად დაფიქსირების საშუალებას მისცემდა.

მოსწავლეებთან ფოკუსჯგუფის შედეგების ანალიზი : მოსწავლებთან ანკეტირების შედეგების ანალიზის შემდეგ, მათი საჭირეობების და დაბალი მოტივაციის გამომწვევი მიზეზების უფრო სიღრმისეულად შესასწავლად, გადავწყვიტე ჩამეტარებინა ამ მეთოდისთვის მიმემართა. შევეცადე, სასიამოვნო გარემო შემექმნა, რათა მოსწავლეები უფრო გულახდილები ყოფილიყვნენ. თუმცა, მათ არ გასჭირვებიათ საუბარი და თავიანთ დამოკიდებულებას გულწრფელად გამოხატავდნენ. მოსწავლეებმა ისაუბრეს ქართული ენის შესწავლის საჭიროებაზე. ზოგიერთმა მათგანმა განაცხადა, რომ ქართული ენის შესწავლა მნიშვნელოვანია მათი წარმატებული მომავლისთვის, რადგანაც პროფესიის დაუფლებასა და დასაქმებას საქართველოში აპირებენ. ზოგიერთმა მოსწავლემ განაცხადა, რომ ის ელემენტარულ/საკომუნიკაციო დონეზე ფლობდა ქართული ენას და უფრო ღრმად შესწავლა მის ინტერესებში არ შედიოდა, რადგან არ აპირებდა სწავლის გაგრძელებას

და ყიდვა-გაყიდვისთვის (რითაც მომავალში აპირებს დაკავებას) ესეც საკმარისი იქნებოდა. რამდენიმე მოსწავლე ასევე აღნიშნავდა, რომ სწავლის გაგრძელება დიდ ფინანსურ მხარდაჭერასთანაა დაკავშირებული, რასაცმათი მშობლები ვერ შეძლებდნენ. დავინტერესდი გაკვეთილის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებზეც, მოსწავლეეთა უმრავლესობამ გაკვეთილის ყველაზე სუსტ წერტილად საშინაო დავალება დაასახელა. როგორც აღმოჩნდა, მათთვის დამღლელი და მოსაბეზრებელია ეს პროცესი. მოსწავლეებმა სურვილი გამოთქვეს, რომ კარგი იქნებოდა სასწავლო პროცესი უფრო აქტიური და საინტერესო გაეხადა მასწავლებელს. განსაკუთრებით მათი ინტერესის სფეროს სასკოლო ცხოვრების კლასგარეშე აქტივობებით გამდიდრება წარმოადგენდა. მათ განსაკუთრებით სურდათ ქართველ ბავშვებთან დამეგობრება, ეს მათ თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას მისცემდათ.

მშობლებთან დიალოგის ანალიზი : მოსწავლეთა ანკეტირებისა და ფოკუს-ჯგუფის ანალიზის შედეგად მიღებული პასუხების გასამყარებლად და მოტივაციის გაზრდის თვალსაზრისით მშობლების გავლენის დასადგენად, გადავწყვიტე, დიალოგის მეთოდი გამომეყენებინა. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად რამდენიმე მშობელს გაუჭირდა დიალოგში ჩართვა, მათთვის პირველი იყო მსგავსი აქტივობა, ამიტომ, ვიზრუნე, მომეხსნა მათთვის ყველანაირი დაძაბულობა, შევახსენე რა მიზანს ემსახურებოდა ჩვენი შეხვედრა და რამდენად მნიშვნელოვანი იყო მათი გულწრფელი პასუხები ჩემთვის და თავიანთი შვილების მომავლისთვის. გულახდილმა საუბარმა დადებითი გავლენა მოახდინა, ყოველი მომდევნო კითხვა მეტ ინტერესს აღძრავდა მათში და უფრო საინტერესოს ხდიდა პროცესს. საუბრისას მათ არ დაუმალავთ, რომ ვერ ახერხებენ თავიანთი შვილებისთვის მოტივაციის მიცემას, მასწავლებლის მიერ დაგეგმილ აქტივობებში ჩართვას, ამას უმეტესად ეკონომიკური პრობლემებით და დროის უქონლობით ხსნიან. მშობლებთან დიალოგის წარმართვისას გამოიკვეთა ისეთი პრობლემები, როგორიცაა: ინფორმაციის ნაკლებობა და უპერსპექტივო მომავლის შიში. როგორც აღმოჩნდა, მშობლების უმეტეს ნაწილს არ ჰქონდა ინფორმაცია იმ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელსაც სახელმწიფო მათ შვილებს სთავაზობს. აღმოჩნდა, რომ მშობლების ნაწილს ნაკლებად აქვს შვილების საქართველოში დასაქმებისა და წარმატებული კარიერის შექმნის იმედი.

მშობლებთან გამართულმა დიალოგმა საკითხს მეტი სიცხადე შესძინა, ერთგვარად დაადასტურა მოსწავლეების ფოკუსჯგუფისა და ანკეტიების შედეგად გამოტანილი დასკვნები. ამ და ყველა ზემოთ მოცემული მეთოდის გამოყენებისას მოწოდების სიმაღლეზე იდგა კვლევაში მონაწილეთა მხრიდან გულწრფელობა, რამაც საბოლოო დასკვნების გამოტანის საშუალება მომცა.

4.2 კვლევის მიგნებები

მონაცემთა შეგროვებისას გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიგნება :

- სკოლაში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ მშობლები ნაკლებად არიან ინფორმირებულნი;
- მშობლების ნაწილი ვერ ხედავს თავისი შვილის მომავალს საქართველოში და შესაბამისად, ვერ ხედავს ქართული ენის შესწავლის საჭიროებას,რაც გავლენას ახდენს მოსწავლის მოტივაციაზე;
- მშობელები ვერ ეხმარებიან შვილებს სწავლის პროცესში, ამის ერთ-ერთ მიზეზს სახელმწიფო ენის არცოდნა წარმოადგენს;
- მასწავლებლის და მშობლის მხრიდან ხდება მოსწავლის ნაკლებად წახალისება;
- მასწავლებლის მიერ მიცემული საშინაო დავალებები მოსაწყენი და რუტინულია მოსწავლეებისთვის, არ აღძრავს მათში ინტერესს;
- მასწავლებელი გაკვეთილზე ნაკლებად მიმართავს ისეთ აქტივობებს, რომელშიც დაბალი და მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები თანაბრად იქნებიან ჩართულები;
- მასწავლებელი ნაკლებად მიმართავს არაფორმალური განათლების მეთოდებს;
- მოსწავლეები განიცდიან სახელმწიფო ენაზე მოსაუბრე ადამიანებთან კომუნიკაციის დეფიციტს;

4.3 კვლევის ნაკლოვანებები

კვლევის პროცესში შეინიშნებოდა სირთულეები:

- იმის გათვალისწინებით,რომ პირველად ვაკეთებდი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას, ამ საკითხის სიღრმისეულად შესწავლა დამჭირდა, რათა სწორად გამომეყენებინა კვლევის მეთოდები, დამესვა პრობლემა, დამესახა ამოცანები და ინტერვენციები;
- საკმაო დრო დასჭირდა კვლევის მეთოდებზე მუშაობას: ანკეტირების, ფოკუს-ჯგუფისა და დიალოგისთვის საჭირო კითხვების ჩამოყალიბებას;
- ასევე,სირთულეს წარმოადგენდა მშობლებთან კომუნიკაცია. ენობრივი ბარიერი არ მაძლევდა კვლევის მაღალ დონეზე ჩატარების საშუალებას, ამიტომაც, მომიწია დიალოგისთვის მომზადებული კითხვების თარგმნა მათთვის გასაგებ ენაზე, რასაც საკმაოდ დიდი ძალისხმევა დასჭირდა;
- ენობრივის ბარიერი პრობლემას წარმოადგენდა მოსწავლეებთან ანკეტირებისა და ფოკუსჯგუფის პროცესში.მიწევდა მათთვის დამატებითი ინსტრუქციების მიცემა მშობლიურ ენაზე,რათა მთელი სიცხადით გაეგოთ დასმული კითხვის არსი;

თავი V

ინტერვენციები

5.1 ინტერვენციების დაგეგმვა

მიღებული პირველადი შედეგების გაანალიზების საფუძველზე დავგეგმე ინტერვენციები :

- **ინტერვენცია I : მინი ლექცია.წარმატებული ადამიანის მოდელის ჩვენება.**
- **ინტერვენცია II : საგანმანათლებლო ექსკურსია. თსუ-ს ახალგაზრდულ ცენტრში წარმატებულ არაქართველ სტუდენტებთან შეხვედრა**
- **ინტერვენცია III : საგაკვეთილო პროცესის დატვირთვა მრავალფეროვანი აქტოვებოებით: ჯგფური მუშაობა, სიმულაციები, როლური თამაშები.**
- **ინტერვენცია IV : საშინაო დავალებების მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება.**
- **ინტერვენცია V : დამეგობრება ქართველ ბავშვებთან. პროექტი „ მეგობარო, ხელი გამომიწოდე“**

5.2 ინტერვენციების განხორციელება

- **ინტერვენცია I : წარმატებული ადამიანის მოდელის ჩვენება.**

პრობლემა: მშობლების და მოსწავლეების ნაწილი ვერ ხედავს სახელმწიფო ენის შესწავლის საჭიროებას და არ აქვთ ამ ქვეყანაში წარმატებული მომავლის შექმნის იმედი.

აქტივობის მიზანი: მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირება.წარმატებული მოდელის ჩვენების დახმარებით მათი მოტივაციის გაზრდა ინტერესის აღძვრა სახელმწიფო ენის შესწავლისადმი.

აღწერა: რადგან პირველადი შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ მეცხრე კლასის მოსწავლეთა ნაწილი საკმაოდ მოტივირებული და ჩართულია სასწავლო პროცესში, მეორე ნაწილი კი - არა, მათი ჩართულობის ხარისხი კი პირდაპირ კავშირში აღმოჩნდა მშობელთა ჩართულობასთან, გადავწვიტე, მოსწავლებისა და მშობლების ინფორმირების მიზნით მომეწყო მინი ლექცია/პრეზენტაცია, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო ენის პოპულარიზაციას. შევეცადე მეჩვენებინა რა პრვილეგიები აქვთ საქართველოში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს და რა პროგრამები აქვს შემუშავებული სახელმწიფოს მათი სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.ასევე, მოვუყევი სტუმრებს საქართველოში მოღვაწე ცნობილი, წარმატებული ეთნიკურად სომეხი ჟურნალისტების, მომღერლების, პოლიტიკოსებისა და მწერლების შესახებ. მსურდა დამემტკიცებინა

მათთვის, რომ ენის შესწავლა უმნიშვნელოვანესია მათი შვილების მომავლისთვის. სტუმრად მოვიწვიე მათივე თანასოფლელი, რომელმაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა ტელევიზიაში, კერძოდ კი - საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში დაიწყო. ის ესაუბრა მოსწავლეებსა და მშობლებს სახელმწიფო ენის საჭიროებაზე (კომუნიკაცია შედგა სომხურ ენაზე, რადგანაც მშობელთა 90% არ/ვერ ფლობს ქართულ ს), სტუდენტობის დროს განვლილ გზაზე, წინააღმდეგობებსა და პერსპექტივებზე. მოსწავლეებიც და მშობლებიც ყურადღებით უსმენდნენ პრეზენტატორს, აშკარა იყო, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია რაღაც ახალი და საინტერესეო იყო მათთვის. სტუმარს უსვამდნენ კითხვებს სამსახურში არსებულ გარემოსთან დაკავშირებით, ანიტერესებდთ, ხომ არ ხდებოდა მისი დისკრიმინაცია ეთნიკური ნიშნით. საბოლოო ჯამში, მშობლები დარწმუნდნენ იმაში, რომ მათი შვილების მომავალი სანდო ხელშია, თუ ისინი მიჰყვებიან მასწავლებლისა და სკოლის ადმინისტრაციის რეკომენდაციებს, ჩართავენ მათ(და თვითონაც ჩაერთვებიან) სკოლაში დაგეგმილ აქტივობებში, წარმატებულს გახდიან თავიანთი შვილების მომავალს. შეხვედრის დროს მიღებულმა ინფორმაციამ საკითხისადმი სკეპტიკურად განწყობილ მშობლებსაც კი შეაცვლევინა აზრი.

- **ინტერვენცია II : საგანმანათლებლო ექსკურსია. თსუ-ს ახალგაზრდულ ცენტრში წარმატებულ არაქართველ სტუდენტებთან შეხვედრა**

პრობლემა: მოსწავლეებსა და მშობლებს არ აქვთ ინფორმაცია იმ პროგრამების შესახებ, რომელსაც სახელმწიფო სპეციალურად არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის ახორციელებს.

აქტივობის მიზანი: საგანმანეთლებლო პროგრამებთან დაკავშირებით მშობელთა და მოსწავლეთა ინფორმირება. მათთვის უნივერსიტეტის მაგიური გარემოსა და წარმატებული არაქართველი სტუდენტების გაცნობა. მოტივაციის აღძვრა საქართველში სწავლის გაგრძელებისადმი.

აღწერა: შემდეგ ეტაპზე, მსურდა, წინა ინტერვენციისას მიღებული ინფორმაცია მოსწავლეებსა და მშობლებს თავიანთი თვალით ენახათ. მინდოდა, გაეგოთ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად კარგი განათლების მიღებას და სახელმწიფო ენის შესწავლას, როგორ გარემოში შეიძლება ისწავლონ მათ და რა პერსპექტივებს უსახავს სტუდენტური ცხოვრება ახალგზრდებს, ამიტომაც, გადავწყვიტე, ისინი თბილისში საგანმანათლებლო ექსკურსიით ჩამომეყვანა. გზის ხარჯები მარნეულის მუნიციპალიტეტმა გაიღო. ვეწვიეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსს, დავათვალიერეთ აუდიტორიები, ქართველი მეცნიერებისა და მწერლების კაბინეტები, ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლებმა ჩაატარეს მინი ლექცია, რომელსაც თან ერთვოდა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობების ფოტოკოლაჟი. ლექციის შემდგომ მოსწავლეები შეხვდნენ ამავე უნივერსიტეტის ეთნიკურად სომეხ სტუდენტებს, რომლებიც ძალიან კარგად ფლობენ ქართულ ენას. მათ

შორის შედგა საინტერესო კომუნიკაცია, სტუდენტები პასუხობდნენ მოსწავლეებისა და მშობლების კითხვებს (კომუნიკაცია მიმდინარეობდა ნაწილობრივ სომხურ ენაზე, რათა მშობლებისთვისაც საინტერესო ყოფილიყო). ისინი ცხოვრებაში პირველად იმყოფებოდნენ უნივერსიტეტის პირველ კორპუსში. საოცარი ეფექტი ჰქონდა იქ სტუმრობას, უნივერსიტეტის მაგიურმა გარემომ ერთნაირად მონუსხა როგორც მოსწავლეები, ასევე მშობლები. მათ შთაბეჭდილებებს, სახეზე ასახულ ემოციებსა და რეპლიკებს დღიურში ვინიშნავდი, რამაც მომცა საშუალება ვიფიქრო, რომ ინტერვენციამ დასახულ მიზანს მიაღწია,მათი მოტივაცია კიდევ უფრო გაიზარდა. დღე თბილისის ისტორიულ-კულტურული ადგილების მონახულებით გავაგრძელეთ. მშობლებიც და შვილებიც ერთობ ნასიამოვნები და კმაყოფილები დაბრუნდნენ შინ.

➘ **ინტერვენცია III : საგაკვეთილო პროცესის დატვირთვა მრავალფეროვანი აქტივობებით: ჯგფური მუშაობა, სიმულაციები, როლური თამაშები.**

პრობლემა: სასწავლო პროცესი მოსწავლეებისთვის მოსაბეზრებელი და ერთფეროვანია. მასწავლებლის მიერ შეთავაზებული აქტივობები არ აღძრავს მათში ინტერესს.

აქტივობის მიზანი: ქართული ენის შესწავლისადმი ინტერესის აღძვრა. გაკვეთილის დატვირთვა სხვადასხვა საინტერესო და სახალისო აქტივობით. დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების ჩართვა სასწავლო პროცესში.

აღწერა: ნაკლებადმოტივირებული მოსწავლეების გაკვეთილზე ჩართვის და ინტერესის გაღვიძების მიზნით, გადავწყვიტე, გაკვეთილი კიდევ უფრო გამემდიდრებინა საინტერესო აქტივობებით. სხვადასხვა დავალების შესრულებისას მოსწავლეებს ვყოფდი ჯგუფებად. ჯგუფში თანაბრად ვანაწილები მოსწავლეებს მათი აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით, რომელშიც შედარებით „სუსტ“ მოსწავლესაც შეეძლო საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა. სპეციალურად წინასწარ შემუშავებული სიტუაციების დახმარებით მოსწავლეები დავაკავე როლურ თამაშებში, რათა უფრო მძაფრად შეეგრძნოთ სახელმწიფო ენის მაღალ დონეზე ფლობის დადებითი და მისი დაბალ დონეზე ფლობის უარყოფითი მხარეები. ამით დავეხმარე მოსწავლეებს, ერთგვარად წარმოედგინათ სიტუაცია, რომელშიც ისინი ნებისმიერ მომენტში შეიძლება აღმოჩენილიყვნენ. მსურდა გაეგოთ, რომ ენა იარაღია და მისი ფლობა დიდი უპირატესობაა ნებისმიერი ადამიანისთვის, რომ მათ გაუჭირდებათ თავი იგრძნონ იმ საზოგადოების სრულყოფილ წევრებად, რომლის ენას ვერ ფლობენ. ჩემ მიერ შემუშავებული ყველა როლური თამაში თუ სიმულაცია სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეებს (განსაკუთრებით ბიჭებს) თავდაპირველად ჰქონდათ როლურ თამაშებში ჩართვის კომპლექსი, თუმცა, შემდეგ, როცა თავიანთი თანაკლასელების(გოგნების) აქტიური ჩართულობა დაინახეს, მიხვდნენ რომ ეს ძალიან სახალისო და საინტერესო პროცესია და მასწავლებლის მხრიდანაც

დადებით უკუკავშირს მიიღებდნენ , თვითონაც „ხელები დაიკაპიწეს“ და პროცესში ენთუზიაზმით ჩაერთვნენ. დაგეგმილი აქტივობები ხშირად საჭიროებდა გუნდური თამაშის წესების გათვალისწინებას, რომელშიც ყველა რგოლი მნიშვნელოვანი იყო და ნებისმიერი ნაწილის დაკარგვა ან მოსუსტება, გუნდის მარცხს გამოწვევდა. ამ აქტივობების პერმანენტულად განხორციელებამ , აქამდე პასიურად მყოფ მოსწავლეებში თითქოს სიცოცხლის ნაპერწკალი აანთო, თითოეული მათგანი ცდილობდა მაქსიმალურად გამოევლინა თავისი შესაძლებლობები, დაემტკიცებინა მასწავლებლისთვის და კლასისთვის, რომ მას შეუძლია ამ სირთულის დაძლევა. ყოველ დღე გაკვეთილი იწყებოდა მათი მხრიდან შეკითხვით: „ მას, დღეს ვითამაშებთ?“. დაგეგმილმა აქტივობებმა ხელი შეუწყო არა მარტო მოსწავლეებში ქართული ენის შესწავლისადმი მოტივაციის გაზრდას, არამედ კლასი ერთ გუნდად შეკრა და გაზარდა მათი სოციალური და მორალური პასუხისმგებლობაც.

➘ **ინტერვენცია IV : საშინაო დავალებების მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება.**

პრობლემა: მასწავლებლის მიერ მიცემული საშინაო დავალებები მოსაწყენი და რუტინულია მოსწავლეებისთვის, არ აღძრავს მათში ინტერესს.

აქტივობის მიზანი: საშინაო დავალების გამდიდრება, ამ რუტინული პროცესის გახალისება და მისი შესრულების მოტივაციის გაზრდა.

აღწერა: კვლევის პირველადი შედეგების ანალიზის საფუძველზე გაკვეთილის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი წერტილი საშინაო დავალება აღმოჩნდა. როგორც გამოვლინდა, მოსწავლეებისთვის მისი შესრულება ერთგვარ რუტინას წარმოადგენს და არ არის საინტერესო, ამიტომაც, გადავწყვიტე საშინაო დავალებები ისეთი ფორმატით შემეთავაზებინა, რომ მათთვის უფრო საინტერესო და სახალისო გამხდარიყო ეს პროცესი. არავითარი კვლევა არ სჭირდება იმას, რომ 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების საუკუნეა, მოსწავლეები დღის უმეტეს ნაწილს თავიანთ „სმარტფონებს“, ინტერნეტსა და სოციალურ ქსელს უთმობენ, მათ შორის არიან ის მოსწავლეებიც, რომლებიც შედარებით დაბალი აკადემიური მოსწრებით გამოირჩევიან ქართულ ენაში. შევეცადე მათი ეს ინტერესი ჩემს სასარგებლოდ გამომეყენებინა, გადავწყვიტე, თითოეული თემის დასასრულს საინტერესო და განსხვავებული დავალება შემეთავაზებინა მათთვის. მაგ: როდესაც დავასრულეთ თემა : „ჯანსაღი ცხოვრების წესი და ჯანსაღი კვება“ , დავალებად მივეცი შემდეგი : “ გადაიღეთ ერთ-ერთი ჯანსაღი კერძის მომზადების პროცესი, ისაუბრეთ მისი სასარგებლო თვისებების შესახებ და ვიდეორგოლი გამომიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე“. დავალების გაჟღერებამ კლასში აღტაცება და შეძახილები გამოიწვია, მის შესასრულებლად მოსწავლეებს სამი დღე მივეცი, მოსწავლეები საოცარი ენთუზიაზმთა და პასუხისმგებლობით მიუდგნენ დავალებას. მათთვის არანაკლებ მოტივაციას წარმოადგენდა ისიც, რომ მათ მიერ მომზადებული ვიდეობი საჯაროდ აიტვირთებოდა სკოლის ფეისბუქ გვერდზე და სხვებიც ნახავდნენ.

ასევე, როდესაც ჩვენი გაკვეთილის თემა „მავნე ჩვევები და თამბაქოს მავნებლობა“ იყო, მოსწავლეები დავაწყვილი და დავალებად მივეცი შემდეგი: „მოამზადეთ კითხვები და ჩაწერეთ ინტერვიუ მწეველ ადამიანთან. გამოკითხეთ,როდის და რა გარემოში დაიწყო მან სიგარეტის მოწევა,რა უარყოფითი გავლენა იქონია თამბაქომ მის ორგანიზმზე და დროის უკან დაბრუნება რომ შეეძლოს, მოწევდა თუ არა იმ პირველ სიგარეტს?“ დავალების მიცემას კლასშივე მოჰყვა დიდი განხილვა, აწყობდნენ გეგმებს, ვინ რას და როგორ გადაიღებდა და შემდგომ როგორ დაამონტაჟებდა. მიღებულმა შედეგმა სასიამონოდ გამაოცა, მოსწავლეებს საოცარი ოსტატობით ჰქონდათ შესრულებული დავალებები, დეტალებზეც კი დიდი ყურადღება ჰქონდათ გამახვილებული. პირველი დავალების შესრულბისას, ბიჭებმა კერძები დედებს დაამზადებინეს, თუმცა თავიანთ თავზე ჰქონდათ აღებული პროცესის გახმოვანება და ვიდეოს მონტაჟი. გოგონებმა თავი მზრეულ-ბლოგერებად წარმოიდგინეს და შესაშური ოსტატობით შემოგვთავაზეს კერძის მომზადების ეტაპები, არც სასარგებლო თვისებებზე ყურადღების გამახვილება დავიწყებიათ. ძალიან სახალისო და საინტერესო იყო მეორე დავალების შედეგიც. მოსწავლეებს კარგად ჰქონდათ განაწილებული ჟურნალისტისა და ოპერატორის მოვალეობები, საინტერესოდ ჰქონდათ წაყვანილი ინტერვიუ, შეტანილი ჰქონდათ მასში დამატებითი კითხვები. რესპოდენტის პასუხები შეძლებისდაგვარად კარგად ჰქონდათ გადათარგმნილი ქართულ ენაზე. ამ ინტერვენციის განხორციელების შემდეგ, შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ სკოლაში სწავლის განმავლობაში ეს იყო ყველაზე სახალისო, სასიამოვნო და საინტერესო დავალება მათთვის, რომელიც ოდესმე მიუცია მასწავლებელს. მოსწავლეებს შევპირდი, რომ შემდეგი თემების შემაჯამებელი დავალებაც ასეთივე საინტერესო და არაორდინალური იქნებოდა.

- **ინტერვენცია V : დამეგობრება ქართველ ბავშვებთან. პროექტი „ მეგობარო, ხელი გამომიწოდე“**

პრობლემა: მოსწავლეები განიცდიან სახელმწიფო ენაზე მოსაუბრე ადამიანებთან ურთიერთობის დეფიციტს და შესაბამისად, აქვთ ამ ენაზე საუბრის კომპლექსი. მშობლები ნაკლებად არიან ჩართულები სკოლის ცხოვრებაში.

მიზანი: მოსწავლეთა ინტეგრაცია ქართულ გარემოში, მათი ცნობიერების გაზრდა და ქართულ ენაზე კომუნიკაციის კომპლექსის დაძლევა.

აღწერა: მოსწავლეთა მოტივაციას არაფერი ისე არ ზრდის,როგორც არაფორმალური განათლება, ამიტომაც, სკოლა ლიცეუმ „ცოდნას“ მასწავლებლებთან ერთად დავგეგმე და განვახორციელე პროეექტი სახელწოდებით : „მეგობარო, ხელი გამომიწოდე“. პროექტი მიზნად ისახავდა ქართველი და არაქართველი მოსწავლეების დამეგობრებას. არაქართველი მოსწავლეების ადაპტაციას ქართულ სოციუმში. პროექტის ფარგლებში ჯერ თბილისელი ბავშვები გვესტუმრნენ შაუმიანში, რამდენიმე კვირის შემდგომ ჩვენ ვეწვიეთ თბილისს. ამ შემთხვევაშიც ტრანსპრტი მარნეულის მუნიციპალიტეტმა გამოგვიყო. ორივე სკოლაში გატარებული დღეები დატვირთული იყო სპორტული და

გასართობი თამაშობებით, მოსწავლეებმა შეასრულეს როგორც ერთი(ქართული), ისე მეორე ქვეყნის(სომხური) სიმღერები, იცეკვეს და ძალიან სასიამოვნო დრო გაატარეს. ღონისძიებაში ჩართული იყვნენ მშობლებიც, რომლებმაც ბავშვებთან ერთად შესანიშნავი მასპინძლობა გაუწიეს სტუმრებს. შაუმიანში სტუმრებს სომხური ტრადიციული კერძებით გაუმასპინძლდნენ, თბილისში კი ადგილობრივებმა წარმოგვიდგინეს ქართული კულინარიის შედევრები. ქართულ სკოლასთან დამეგობრებით მოსწავლეებს გაეზარდათ სახელმწიფო ენის შესწავლის მოტივაცია. ისინი უფრო მეტად გახსნილები, აქტიურები, კომუნიკაბელურები და თავდაჯერებულები გახდნენ. თითოეული მოსწავლე ცდილობდა მაქსიმალურად გამოევლინა ქართველ თანატოლებთა სახელმწიფო ენის ცოდნა. მიღებული შედეგით კმაყოფილი იყვნენ მშობლებიც, რომლებმაც აშკარად დაინახეს ქართული ენის შესწავლის საჭიროება, მათი შვილების შესაძლებლობები და დარწმუნდნენ, რომ მათი წვლილი ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია. ისინი სიამაყით შესცქეროდნენ თავიანთ შვილებს, რომლებიც ასე მარტივად ახერხებდნენ კომუნიკაციას ქართველ მოსწავლეებთან. პროცესის მიმდინარეობას ავსახავდი დღიურში, რომელის ფურცლებზეც უამრავი დადებითი კომენტარია შემონახული. ამ ინტერვენციამ უკვე გამოიღო საოცარი შედეგი, თუმცა ის არ დასრულებულა. პროექტი გრძელვადიანია და კიდევ უამრავი საინტერესო აქტივობა იგეგმება, შევქმენი ფეისბუქ ჯგუფი, სადაც დამეგობრებული მოსწავლეები თავიანთ ყოველდღიურობას უზიარებენ ერთმანეთს. სექტემბრის თვიდან დაგეგმილი გვაქვს ერთობლივი ექსკურსია კახეთში.

5.3 ინტერვენციების შედეგების ანალიზი: როგორც უკვე აღვნიშნე, თითქმის ყველა ინტერვენცია ჯერ კიდევ გრძელდება და გაგრძელდება მომავალ სასწავლო წელსაც. კვლევის ყველა ეტაპზე ვაწარმოებდი კვლევის დღიურს, რომელშიც ინტერვენციების მიმდინარეობის პარალელურად ავსახავდი ამა თუ იმ აქტივობის განხორციელების შედეგად მიღებულ მოსწავლეთა და მშობელთა კომენტარებს, რეპლიკებს, ემოციებს. რადგანაც ჩემი კვლევის ცენტრალურ ფიგურას მოსწავლეები წარმოადგენდნენ, ინტერვენციების შედეგების უფრო თვასაჩინოდ დასანახად, გადავწყვიტე, სწორედ მათთან ჩამეტარებინა განმეორებითი ანკეტირება, რომელიც საშუალებას მომცემდა, დამენახა, შეიცვალა თუ არა მოსწავლეთა მოტივაცია ამ რამდენიმე თვის მანძილზე. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის სრულყოფილი შედეგი, რადგანაც ინტერვენციები კვლავ გრძელდება, კიდევ ერთ ანკეტირებას მომავალი სასწავლო წლის ბოლოსაც განვახორციელებ როგორც მოსწავლეებთან, ასევე მშობლებთან. ამ ეტაპზე მიღებული პირველადი შედეგები წარმოვადგინე დიაგრამის სახით:


1.გაიზარდა თუ არა თქვენი მოტივაცია მასწავლებლის მიერ განხორციელებულ აქტივობებში მონაწილეობის შედეგად?
ნაწილობრივ 19%
არა 0%
დიახ 81%
დიახ
არა
ნაწილობრივ


2.ბოლო პერიოდში გახდა თუ არა უფრო საინტერესო ქართული ენის გაკვეთილები?
ნაწილობრივ 0%
არა 0%
დიახ 100%
დიახ
არა
ნაწილობრივ


3.უნივერსიტეტში სტუმრობამ და წარმატებულ სტუდენტებთან შეხვედრამ გაგიზარდათ თუ არა საქართველოში სწავლის გაგრძელების მოტივაცია?
ნაწილობრივ 25%
არა 0%
დიახ 75%
დიახ
არა
ნაწილობრივ





შედეგების ანალიზმა დამარწმუნა, რომ ნამდვილად სწორი მიმართულებით მივდივარ. თუ კიდევ გავაგრძელებ სხვადასხვა საინტერესო აქტივობის დაგეგმვას, მოსწავლეებისა და მშობლების ჩართულობით განვახორციელებ მათ, მიზანი მიღწეული იქნება.

დასკვნა

მე-9 კლასში ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემიძლია ვთქვა, რომ ზუსტად შევძელი პრობლემისა და მისი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება. შერჩეული კვლევის მეთოდების ანალიზმა მაჩვენა, რომ მოსწავლეთა დაბალ მოტივაციას კონკრეტულ კლასში რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს, ესენია :

- მოსაწყენი და ერთფეროვანი სასწავლო პროცესი;
- მშობელთა დაბალი ინტერესი სასწავლო პროცესისადმი;
- მშობელთა და მოსწავლეთა არაინფორმულობა საქართველოში სწავლის გაგრძელების პერსპექტივასთან დაკავშირებით;

ამ ფაქტორების გამოვლენის შემდეგ, დავგეგმე და განვახორციელე სწორი ინტერვენციები. ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის შედეგები, რომლებიც დაფიქსირდა კვლევის დასარულს ჩატარებული განმეორებითი ანკეტირების ანალიზისას. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემა აღმოფხვრილია, ეს მხოლოდ რამდენიმეთვიანი ინტერვენციის შედეგია. სწორედ ამიტომ, ვაპირებ, ამ მიმართულებით კვლავ განვაგრძო მუშაობა. მსურს, უფრო გავამრავალფეროვნო და გავამდიდრო სასწავლო პროცესი და გავზარდო მშობლების ჩართულობა სხვადასხვა არაფორმალურ აქტივობაში. ამ ყველაფრის შედეგად კი ხელი შევუწყო მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის გაზრდას. ამის დასადასტურებლად კვლევას ამ ეტაპზე არ ვასრულებ და ინტერვენციების განხორციელებას მომავალ წელსაც განვაგრძობ.

კვლევის მიმდინარეობისას მიღებულმა ინფორმაციამ განმიმტკიცა მოსაზრება, რომ მთავარია, არ დაგვავიწყდეს ჩვენი, როგორც მასწავლებლის როლი სწავლა/სწავლების პროცესში უმნიშვნელოვანესია, ჩვენ უნდა დავეხმაროს მოსწავლეებს, გახდნენ უფრო თავდაჯერებულნი, დაინახონ საკუთარი პროგრესი და მიაღწიონ წარმატებას. კარგი იქნება, თუ ყოველთვის გვემახსოვრება ალბერტ აინშტაინის სიტყვები: *„მე არასოდეს ვასწავლი ჩემს მოსწავლეებს, მე მხოლოდ ვცდილობ, ისეთი პირობები შევქმნა, სადაც ისინი სწავლას შეძლებენ“.* ასეთი მიდგომით ჩვენ გავხდებით მოტივაციის მიმცემი წყარო, რომელიც მოსწავლეებში აღვივებს სწავლის სურვილს, წარმატების იმედს. უდაოა, რომ ეს ყოველივე მასწავლებლისგან უზარმაზარ ძალისხმევას მოითხოვს. ამიტომაც, ვფიქრობ, ჩემი კვლევა დაეხმარება იმ მასწავლებლებს, რომლებმაც კარგად იციან, რა რთულ საქმეს არიან შეჭიდებული, გაცნობიერებული აქვთ მათაზე დაკისრებული მოვალეობები და მუდმივად სიახლეების ძიების პროცესში იმყოფებიან.

რეკომენდაციები

(მასწავლებლებისთვის)

კვლევის ბოლო ეტაპზე, ინტერვენციების განხორციელებისა და დასკვნების გამოტანის შემდეგ, შევიმუშავე მასწავლებლებისთვის შემდეგი რეკომენდაციები :

- ☑ გავამდიდროთ სასწავლო პროცესი საინტერესო და სახალისო აქტივოებით, რომელიც მოსწავლეს სასწავლო პროცესში ჩართვის სურვილს აღუძრავს. მაგ: ჯგუფური თამაშები, სიმულაციები, როლური თამაშები და ა. შ
- ☑ მოსწავლის განვითარების საქმეში მშობელი თანამებრძოლად გავიხადოთ. მაქსიმალურად ჩავრთოთ ისინი კლასგარეშე აქტივობებში, დავანახოთ მათ თავიანთი შვილების შესაძლებლობები და სახელმწიფო ენის ცოდნის უპირატესობები.
- ☑ მუდმივად გვქონდეს მოსწავლეებთან ჯანსაღ უკუკავშირი. გამოვიყენოთ შინაგანი და გარეგანი მოტივაციის სხვადასხვა ფორმები და ამისკენ მოვუწოდოთ მშბლებსაც.
- ☑ მუდმივად გვქონდეს ურთიერთობა კოლეგებთან. მოვაწყოთ სამუშაო შეხვედრები, რათა მოგვეცეს აზრის გაზიარების საშუალება.
- ☑ დავგეგმოთ კლასგარეშე აქტივობები, რომელშიც ჩართული იქნებიან მშობლები. მაგალითად: მოვაწყოთ საგანმანათლებლო ექსკურსია, მოვინახულოთ სხვადასხვა საინტერესო ისტორიული და კულტურული ადგილი
- ☑ ვუჩვენოთ წარმატებული ადამიანის მოდელი. ეს დაეხმარება მოსწავლეებს მომავლის დაგეგმვაში, გაზრდის მათი ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში.
- ☑ დავგეგმოთ პროექტები, მაგ: დამეგობრება ქართულ სკოლასთან. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ინტეგრაციას ქართულ სოციუმში. გაზრდის მათ სააზროვნო არეალს. მოსწავლეები უფრო გახსნილები და კომუნიკაბელურები გახდებიან.
- ☑ ჩავრთოთ მოსწავლეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამა თუ იმ მოვლენასთან დაკავშირებით გავითვალისწინოთ მათი აზრი, წავახალისოთ მათ მიერ წამოყენებული წინადადება.
- ☑ შევეცადოთ თავი დავაღწიოთ საშინაო დავალებების რუტინას. მოსწავლეებს შევთავაზოთ ისეთი დავალებები, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები და სურვილები.
- ☑ და ბოლოს, არ დაგვავიწყდეს, რომ ყველა მოსწავლეს აქვს სწავლის უნარი, შევეცადოთ, ვიპოვოთ მისი გულის გასაღები და წარმატებაც არ დააყოვნებს.

რეფლექსია

კვლევის ჩავატარე 2018-2019 სასწავლო წლის II სემესტრში მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შაუმიანის N2 საჯარო სკოლის IX კლასში. კვლევაზე მუშაობის პროცესი გავყავი ორ მნიშვნელოვან ეტაპად. პირველ რიგში, გამოვავლინე საკვლევი საკითხი, რაც უშაუალოდ უკავშირდებოდა მოსწავლეთა მოტივაციას ქართულის, როგორც მეორე(სახელმწიფო) ენის სწავლა/სწავლებას და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს. საკვლევი საკითხი გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც უცხოური ენების კათედრის ერთ-ერთ სამუშაო შეხვედრაზე წამოიჭრა მოსწავლეებში სწავლისადმი დაბალი მოტივაციის პრობლემა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებდა სასწავლო პროცესს. ამ მხრივ არც ჩემი IX კლასი წარმოადგენდა გამონაკლისს, რადგანაც მოტივაციის თვალსაზრისით მათთანაც შეინიშნებოდა პრობლემები, გადავწყვიტე, ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა ამ მიმართულებით წარმემართა. მონაცემთა შეგროვებასა და ძირითადი პრობლემის იდენტიფიცირების პროცესში გამოვიყენე როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევის მეთოდები: ანკეტირება, დიალოგი, ფოკუსჯგუფი. იმისათვის, რომ უფრო გამჭვირვალე ყოფილიყო კვლევის პროცესი და მეც ნათლად დამენახა საკუთარი მიღწევები, გადავწყვიტე, კვლევის მიმდინარეობა ამესახა კვლევის დღიურში. პირველ ეტაპზე ჩავატარე ფოკუსჯგუფი კოლეგებთან და ანკეტირება მოსწავლეებთან, რამაც გამოავლინა მოსწავლეებთან ფოკუს-ჯგუფისა და მშობლებთან დიალოგის საჭიროება. რათა შედეგი უფრო თვალსაჩინო, ობიექტური და სანდო ყოფილიყო. შემდეგ ეტაპზე შევიმუშავე კვლევის ამოცანები, დავსახე ინტერვენციები და განვახორციელე ისინი. ინტერვენციების მიმდინარეობისას ვაკვირდებოდი, უმჯობესდებოდა თუ არა მოსწავლეთა მოტივაციის ხარისხი, რასაც დღიურშიც აღვნიშნავდი. ინტერვენციები იყო მრავალფეროვანი და საინტერესო. მშობლები, რომლებიც მანამდე სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობით არ გამოირჩეოდნენ, ამ აქტივობებში დიდი ენთუზიაზმით მიიღეს მონაწილეობა. ინტერვენციების ფარგლებში ჩატარებული ყველა აქტივობა იყო მოსწავლეებითვის სასარგებლო, შეესაბამებოდა მათ ასაკობრივ კატეგორიას და ინტერესებს. ინტერვენციების შედეგების ანალიზისთვის განვახორციელე განმეორებითი ანკეტირება. რომელმაც დაადასტურა, რომ ჩემ მიერ შემუშავებული აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეებში სახელმწიფო ენის შესწავლის მოტივაციის გაზრდას. სასწავლო პროცესს უფრო ეფექტურს და ხარისხიანს გახდის. გაზრდის სასწავლო პროცესში მშობლეთა ჩართულობასაც. შედეგი უფრო თვალსაჩინო გახდება მომავალ სასწავლო წელს, რადგანაც ვაპირებ, კვლევის ფარლებში დაგეგმილი ინტერვენციები მომავალშიც გავაგრძელო.

კვლევის შინაარსსა და შედეგებს გაეცნენ როგორც ჩემი ადგილობრივი კოლეგები, ასევე მასწავლებლის სახლის კონსულტანტ მასწავლებლები (პროგრამა „არაქართულენოვანი სკოლების პროფესიული მხარდაჭერა“), რომლებსაც კვლევა გავუზიარე სოციალური ქსელის დახმარებით. წერილობით მიღებულ უკუკავშირში კოლეგებმა აღნიშნეს, რომ მოტივაცია ეფექტური სასწავლო გარემოს ამომავალი წერტილია. ადამიანის მიერ შესრულებულ ნებისმიერ ქმედებას გარკვეული მოტივაცია უდევს საფუძვლად. განსაკუთრებული როლი კი მას სწავლა/სწავლების პროცესში ენიჭება. ის განაპირობებს სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვას. მართალია, სახელმწიფო ენის შესწავლა პრიორიტეტული და წახალისებული უნდა იყოს ყველა გარემოში, მაგრად უმეტესად ეს ასე არ ხდება და მსგავს პრობლემებს ხშირად აწყდებიან თავიანთ პრაქტიკაშიც, ზოგჯერ პრობლემას ოჯახი და გარემო, ზოგჯერ კი სკოლა და მასწავლებლები წარმოადგენენ. ამიტომაც, კოლეგები დაინტერესნენ კვლევის ფარგლებში განხორციელებული ინტერვენციებით და გამოთქვეს ჩემი გამოცდილების საკუთარ პრაქტიკაში გაზიარების სურვილი.

განსაკუთრებული ინტერესით ჩემი კვლევის ანგარიშის პრეზენტაციას ადგილობრივი კოლეგები ელოდნენ, რადგანაც ეს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის განხორციელების პირველი შემთხვევა იყო ჩემს სკოლაში. პრეზენტაციას დაესწრნენ შეფასების ჯგუფისა და უცხოური ენების კათედრის წევრები. მათ გაიზიარეს საკვლევი საკითხის აქტუალობა და დადებითად შეაფასეს როგორც კვლევის მიგნებები, ასევე, დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები. რამდენიმე მათგანს გაუჩნდა სამომავლოდ პედაგოგიური კვლევის განხორციელების მოტივაცია. მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა რეკომენდაციები. თქვეს, რომ აუცილებლად გაითვალისწინებენ მათ საკუთარ პრაქტიკაში და უკუკავშირს მომაწვდიან მომავალი წლის კათედრის სხდომებზე.

კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია და გამოცდილება, ვფიქრობ, მნიშვნელოვან დახმარებას გამიწევს მომავალ პედაგოგიურ საქმიანობაში, შევძლებ სასწავლო პროცესის უფრო ეფექტურად წარმართვას, სასკოლო ცხოვრების გამდიდრებას მრავალფეროვანი აქტივობებით და მასში მშობლებისა და მოსწავლეების ეფექტურად ჩართვას, მოსწავლეებში სახელმწიფო ენის შესწავლის მხრივ მოტივაციის ზრდის ხელშეწყობასა და პიროვნულ განვითარებას.

გამოქვეყნების ლინკი:

ბიბლიოგრაფია

[1] ეროვნული სასწავლო გეგმა(2018-2024).ქართული,როგორც მეორე ენა.საბაზო საფეხურის სტანდარტი (გვ.8,9).(ლინკი შემოწმებულია 27.02.2019)
http://ncp.ge/files/ESG/NC%202018-2024/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20II%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98.pdf

[2] ეროვნული სასწავლო გეგმა (2011-2016) თავი XVI საგნობრივი პროგრამა ქართული,როგორც მეორე ენა(გვ.1)სტანდარტი(ლინკი შემოწმებულია 10.01.2019)
http://ncp.ge/files/ESG/2011-2016/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20-%20%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AA%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%20%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%20(%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98%2C%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A3%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%9D%20%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98)%20pdf.pdf

[3] ეროვნული სასწავლო გეგმა. კარი I სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპები.თავი VI - ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები(გვ. 2).(ლინკი შემოწმებულია 15.01.2019)

http://ncp.ge/ge/curriculum/general-part/general-part/tavi-vchapter-vi-basic-methodological-orientations

[4] საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.ენციკლოპედიური ლექსიკონი : „სწავლის მოტივაცია“ . (ლინკი შემოწმებულია 09.01.2019)

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=16094

[5] აბულაძე.ი. 24 ივნისი 2014 წელი. „მოტივაცია თეორიასა და პრაქტიკაში“ http://mastsavlebeli.ge/?p=1982 (ლინკი შემოწმებულია 25.01.2019)

[6] აფთარაშვილი ი. „მეორე ენის შესწავლის ფსიქოლოგიური ფაქტორები სასკოლო გარემოში“. „ ბილინგვური განათლება“ სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალი N2 2010(გვ 3-4) (ლინკი შემოწმებულია 23.01.2019)

http://ebiblioteka.sjuni.edu.ge/images/books/Jurnali%20bilingv%20gan%20N2%202010.pdf?fbclid=IwAR3miPXKv7EvskqrGBKbFnJ2XGgZfIw_43rtMr6Rsus-JMi-qiIY17owr8g

[7] ბერძენიშვილი. ც. 9 ოქტომბერი 2015 წელი. „მოტივაცია კლასში: მოტივაციის თეორიები“. (ლინკი შემოწმებულია 18.01.2019) http://mastsavlebeli.ge/?p=1572

[8] კოპაძე ე. „სახელმწიფო ენის პრობლემა სამცხე ჯავახეთში“ 2009 წელი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. (ლინკი შემოწმებულია 27.01.2019)

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL3.1.8&d=HASH6528986a52a8ba92a48eff.4&gt=1

[9] სავილიე-ტროიკე მ. „ შესავალი მეორე ენის ათვისებაში“ მეორე გამოცემა თბილისი 2016(Cambridge) (გვ 98 -99) (ლინკი შემოწმებულია 11.01.2019) http://cciir.ge/upload/editor/file/introducing%20second%20language%20acquisition.pdf

[10] შავარდაშვილი ე. ფიცხელაური ნ. რამიშვილი ფ. გვასალია მ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი 2014 წელი „უცხო ენების სწავლების საფუძვლები“ ნაწილი I გვ 19,20 https://www.researchgate.net/profile/Ekaterine_Shaverdashvili/publication/275583428_utskhouri_enebis_sapudzvlebi/links/553feb4e0cf2736761c25beb/utskhouri-enebis-sapudzvlebi.pdf

[11] ცინცაძე ნ. 17 მაისი 2019 წელი „მოტივაცია - წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორი„(ლინკი შემოწმებულია 18.05.2019)

http://mastsavlebeli.ge/?p=21798

[12] ჭყოიძე თ. 6 იანვარი 2015 წელი „სწავლის მოტივაციის შიდა ფაქტორები“ (ლინკი შემოწმებულია 21.01.2019)

http://mastsavlebeli.ge/?p=1797

დანართი N1

ფოკუს - ჯგუფის კითხვები კოლეგებთან:

- ❖ თქვენი აზრით, რამდენად დიდ ინტერესს იჩენენ მოსწავლეები სახელმწიფო ენის შესწავლისადმი?
- ❖ როგორ ფიქრობთ, რა ფაქტორები განაპირობებს მოტივაციის ამაღლებას სწავლის პროცესში?
- ❖ რა განაპირობებს მოსწავლეთა მხრიდან სწავლისადმი სიყვარულს/ინტერესს?
- ❖ რა სტრატეგიებს იყენებთ მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების მიზნით?
- ❖ თქვენი აზრით, გარეგანი მოტივაცია უფრო დიდ როლს თამაშობს სწავლის პროცესში, თუ - შიანაგანი?
- ❖ თქვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, მოსწავლის მაღალი აკადემიური შედეგი გამომდინარეობს თუ არა ოჯახის მხარდაჭერიდან?
- ❖ რა რეკომენდაციებს მომცემდით მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით?

დანართი N2

ანკეტირების კითხვარი მოსწავლეთათვის

1.განიჭებთ თუ არა სიამოვნებას ქართული ენის სწავლის პროცესი?

ა) დიახ;

ბ) არა;

გ) ნაწილობრივ.

2.გაძლევთ თუ არა სწავლის პროცესში მოტივაციას მასწავლებელი?

ა) დიახ;

ბ) არა;

გ) ნაწილობრივ.

3.არის თუ არა საინტერესო და მრავალფეროვანი მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული დავალებები ?

ა) დიახ;

ბ) არა;

გ) ნაწილობრივ.

4.გაძლევთ თუ არა ზოგადად სწავლის მოტივაციას მშობელი?

ა) დიახ;

ბ) არა;

გ) ნაწილობრივ.

5.ხედავენ თუ არა თქვენი მშობლები სახელმწიფო ენის შესწავლის საჭიროებას ?

ა) დიახ;

ბ) არა;

გ) ნაწილობრივ.

6. გაქვთ თუ არა ინფორმაცია იმ სახელმწიფო პროგრამების შესახებ,რომელსაც უნივერსიტეტი არაქართველ მოსწავლეებს სთავაზობს?

ა) დიახ;

ბ) არა;

გ) ნაწილობრივ.

დანართი N3

ფოკუს - ჯგუფის კითხვები მოსწავლეებთან:

- როგორ ფიქრობთ, არის თუ არა აუცილებელი იმ სახელმწიფოს ენის შესწავლა,რომელშიც ცხოვრობთ?
- რა მოგწონთ ყველაზე მეტად ქართული ენის სწავლების პროცესში?
- რა არ მოგწონთ?
- რა წარმოადგენს თქვენთვის სირთულეს ქართული ენის შესწავლისას?
- რა დამატებით აქტივობებს შეიძლება მიმართოს მასწავლებელმა ენის შესწავლის პროცესში, თქვენი მოტივაციის ასამაღლებლად?
- სკოლის გარდა კიდევ რა/ვინ გაძლევთ მოტივაციას ქართული ენის შესწავლისას?
- რა მეთოდებს იყენებენ მშობლები და მასწავლებლები თქენი მოტივაციის ასამაღლებლად?

- ყველაზე ხშირად როდის ინტერესდებიან თქვენი მშობლები სასწავლო გარემოთი?
- როგორ ფიქრობთ,უკავშირდება თუ არა თქვენს მომავალი სახემწიფო ენის მაღალ დონეზე შესწავლას?

დანართი N4

დიალოგის კითხვარი მშობლებისთვის:

1. არის თუ არა მნიშვნელოვანი თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის შვილების განათლება?
2. მნიშვნელოვანია თუ არა თქვენთვის, რომ თქვენი შვილები თავისუფლად საუბრობდნენ სახელმწიფო ენაზე,ინტეგრირებულნი იყვნენ ქართულ გარემოში?
3. შეგიძლიათ თუ არა, საჭიროების შემთხვევაში, დახმარება გაუწიოთ თქვენს შვილს ქართული ენის სწავლის პროცესში?
4. აკონტროლებთ თუ არა სისტემატურად თქვენი შვილის აკადემიურ მოსწრებას?
5. გაქვთ თუ არა ინფორმაცია იმ სახელმწიფო პროგრამების შესახებ,რომელსაც სახელმწიფო არაქართულენოვან მოსწავლეებს სთავაზობს?
6. აძლევთ თუ არა თქვენს შვილს სწავლის მოტივაციას?
7. თუ დიახ,როგორ ახერხებთ ამას?
8. რთავთ თუ არა თქვენს შვილებს მასწავლებლის მიერ განხორციელებულ აქტივობებში?
9. ხართ თუ არა ჩართული ამ აქტივობებში თქვენ?
10. გაქვთ თუ არა მოტივაცია და იმედი იმისა,რომ თქვენი შვილი სახელმწიფო ენის მაღალ დონეზე ფლობის შემდეგ, შეიქმნის წარმატებულ კარიერას?

დანართი N5

განმეორებითი ანკეტირება

1. **გაიზარდა თუ არა თქვენი მოტივაცია მასწავლებლის მიერ განხორციელებულ აქტივობებში მონაწილეობის მიღების შემდეგ?**
   ა) დიახ;
   ბ) არა;
   გ) ნაწილობრივ;
2. **ბოლო პერიოდში გახდა თუ არა უფრო საინტერესო ქართული ენის აკვეთილები?**
   ა) დიახ;
   ბ) არა;
   გ) ნაწილობრივ;
3. **უნივერსიტეტში სტუმრობამ და წარმატებულ სტუდენტებთან შეხვედრამ გაგიზარდათ თუ არა საქართველოში სწავლის გაგრძელების მოტივაცია?**
   ა) დიახ;
   ბ) არა;
   გ) ნაწილობრივ;
4. **იყო თუ არა მნიშვნელოვანი თქვენთვის მასწავლებლის მიერ დაგეგმილ აქტოვობებში თქვენი მშობლების მონაწილეობა?**
   ა) დიახ;
   ბ) არა;
   გ) ნაწილობრივ;
5. **ადრინდელზე უფრო მეტად ინტერესდებიან თუ არა მშობლები თქვენი გაკვეთილებით და სკოლაში მიმდინარე პროცესებით?**
   ა) დიახ;
   ბ) არა;
   გ) ნაწილობრივ;